საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 34 (278) პარასკევი, 19 თებერვალი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 16 თებერვლის ღამემ აფხაზეთში აქტიური საბრძოლო მოქმედებების გარეშე ჩაიარა.

17 საათსა და 30 წუთზე სოხუმისა და ჩვენი საბრძოლო პოზიციების თავზე გამოჩნდა ამოუცნობი ნიშნების მქონე სამხედრო თვითმფრინავი. საქართველოს შეიარაღებული ძალების საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა თვითმფრინავს ცეცხლი დაუშინეს, რითაც აიძულეს ასულიყო დიდ სიმაღლეზე და გაცლოდა ქალაქს.

20 საათიდან მოწინააღმდეგემ დაიწყო ტექნიკის თავმოყრა ქვემო ეშერაში, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ დაბომბა მოწინააღმდეგის კონცენტრაციის ადგილი და გაფანტა ისინი.

17 თებერვალს მდინარე გუმისთაზე მიმდინარეობდა საკმაოდ აქტიური პოზიციური ბრძოლები. 11 საათისათვის ეშერაში მდებარე ლაბორატორიასთან მოწინააღმდეგემ გამოიყვანა ტანკი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა და დაიწყო სროლა სოხუმის მიმართულებით. აფეთქებას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია. რამდენიმე ჭურვის გამოსროლის შემდეგ საპასუხო საარტილერიო ცეცხლმა მოწინააღმდეგის მძიმე ტექნიკა აიძულა დაეტოვებინა საბრძოლო პოზიციები.

პოზიციურმა ბრძოლებმა მეტ-ნაკლები ინტენსივობით 23 საათამდე გასტანა.

ოჩამჩირის რაიონში სოფელ ტამიშის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე მხარეებს შორის მოხდა შეტაკება. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ უკან დაიხია. წინასწარი მონაცემებით, მათი მხრიდან დაიჭრა რამდენიმე მებრძოლი, ჩვენთან — ერთი.

იოსებ გოგიჩაია.

●

ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი

საქართველოს ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი გაგზავნა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, ავტონომიურ რესპუბლიკაში დისლოცირებული საქართველოს ჯარების კონტინგენტის განკარგულებაში. გაიგზავნა თითქმის ექვსი მილიონი მანეთის ნივთები, რომლებიც ესოდენ სჭირდებათ მებრძოლებს ზამთარში. მათ შორის თბილი ტანსაცმელი, საბნები, თეთრეული, ჩექმები, სიგარეტები, საპონი, კბილის პასტა, ელექტროღუმელები, კამფეტები და მრავალი სხვა.

●

დანაღმეს რკინიგზა

სოხუმი. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაშაკიძემ, 17 თებერვალს სოხუმიდან თბილისის მიმართულებით ვერ გამოვიდა სამგზავრო მატარებელი. ამის მიზეზი იყო ის, რომ ტამიშის სადგურის მახლობლად უცნობმა პირებმა დანაღმეს რკინიგზის ვაკისის მცირე მონაკვეთი. ეს რკინიგზელებს შეატყობინა ოჩამჩირის გარნიზონის მეთაურმა. 18 თებერვალს დილიდან დეპარტამენტის სალიანდაგო სამსახური შეუდგა დანაღმული უბნის შემოწმებას.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ეროვნული თანხმობა ყველასა და ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ!

**საქართველოს მოსახლეობას,
საქართველოს პარლამენტს,
საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას და ორგანიზაციას,
საქართველოს ინფორმაციის საშუალებებს**

ერის გასაგონად

ჩვენ, საქართველოს მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწენი, სხვადასხვა ასაკის და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები, შეგვკრიბა დიდმა ეროვნულმა საფრთხემ — საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროებამ და ახლადფეხადგმული ქართული სახელმწიფოს დაშლის რეალურმა პერსპექტივამ.

მივმართავთ ყველას — დიდსა და პატარას, საქართველოს ყოველ მოსახლეს, ქართველსა თუ არაქართველს, საქართველოს ყველა შვილს, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს დამოუკიდებლობა, ვისაც სურს მშვიდობიან, მდიდარ და ძლიერ საქართველოში იცხოვროს, სადაც ყველას ექნება საშუალება გამოავლინოს ღვთით ნაბოძები ნიჭი, ყველას შეეძლება ილაპარაკოს თავის ენაზე, განავითაროს თავისი კულტურა, შეინარჩუნოს თავისი ეროვნული მეობა.

მივმართავთ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებას,

მივმართავთ პარლამენტს,

მივმართავთ ინფორმაციის საშუალებებს.

დაღუპვას გადავარჩინოთ ქვეყანა, რომელსაც ბევრი მტერი ჰყავს, მოკეთე კი — ჩვენს გარდა არავინ.

გადავარჩინოთ სახელმწიფო, რადგან დღეს სახელმწიფოს გადარჩენა ერის გადარჩენას ნიშნავს.

მოვიგოთ ომი მტერთანაც და საკუთარ თავთანაც.

ომს კი ვერ მოვიგებთ, თუ არ ამოვავსებთ იმ ნაპრალს, საქართველოში რომაა გაჩენილი.

სწორედ ამიტომ ყოველი ჩვენგანის საქმიანობა დღეს ერთი კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ. ისაა საქართველოს ერთგული, ვინც ამ ნაპრალის ამოვსებას ცდილობს, ომის ღირსეულად დამთავრებას, ხალხის დაპურებასა და ქვეყნის გადარჩენას.

უპირველესი, რაც ამ გზაზე უნდა გაკეთდეს, ერთია — ერისა და ქვეყნის გამთიშველ ყოველგვარ საქმიანობაზე გამოვაცხადოთ მორატორიუმი!

წლის ბოლომდე მაინც!

წლის ბოლომდე მაინც ვთქვათ უარი ხელისუფლებასთან, პარტიებთან თუ პიროვნებებთან დაუნდობელ, უდიერ და უზნეო ბრძოლაზე.

წლის ბოლომდე მაინც ვთქვათ უარი სახელმწიფო წესრიგის დესტაბილიზაციაზე.

წლის ბოლომდე მაინც დავიცვათ ეროვნული თანხმობა, რომელიც სულაც არ ნიშნავს პარტიულ თანხმობას. ვიყოთ განსხვავებულნი და განსხვავებული აზრისანი და მხოლოდ ერთ რამეში შევთანხმდეთ — ერთადერთი სამშობლო გვაქვს, მას მტერი შემოესია და იგი უნდა განვდევნოთ და მოვსპოთ. ესაა მთავარზე უმთავრესი.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ დაბრუნდეს საქართველოში დავით გურამიშვილის ტრაგიკული დრო, ყველაფერი გავაკეთოთ ომის მოსაგებად.

ეროვნული თანხმობა ყველასა და ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ.

თუ ამას ვერ მოვახერხებთ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები ისევე მოიგონებენ გაგრასა და სოხუმს, როგორც ახლა ჩვენ ვიგონებთ დაკარგულ ქალაქებსა და მიწებს, რომლებიც სხვებს უპყრიათ. საქართველო კარგა ხანს ჩაეფლობა ნგრევის ქაოსში და ბოლოს ალბათ ისევ სხვა დაეპატრონება.

ომს მარტო კარგი ჯარისკაცი და კარგი გენერალი არ იგებს, ომს იგებს სახელმწიფო, აწყობილი, ძლიერი და ერთი მიზნით გამთლიანებული ქვეყანა.

ახლა რისკის და ავანტიურის უფლება არ გვაქვს.

დავაყენოთ საქართველო საკუთარ თავზე და საკუთარ ინტერესებზე მაღლა.

გვჯერა, ეს მხოლოდ ამ წერილზე ხელის მომწერთა სურვილი არაა!

ეს მთელი ჩვენი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა! ნუ გავაწბილებთ მას — ჩვენს ხალხს, გმირ, წამებულ, ბედნიერი საქართველოს ღირს ხალხს.

ვენდოთ ერთმანეთს! მოვიგოთ დრო! მოვიგოთ ომი! ვიყოთ ჩვენი დიდი წარსულის ღირსი შვილები! შევთანხმდეთ! ვაპატიოთ ერთმანეთს! გვერდით დავუდგეთ ერთმანეთს! გამოვიყენოთ სამშობლოს გადარჩენის შანსი — ალბათ უკანასკნელი შანსი!

საქართველოს შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის შეკრების მონაწილე მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწენი.

15 თებერვალი, 1993 წ.

ნომერში

⊙ ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით განვსაჯოთ განსასჯელი. 2-3
⊙ დამნაშავეთა დრო? ანუ რა ქნას იმედგაცრუებულმა? 4

შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესთან

18 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე რამაზან აბდულატიპოვი და რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერი სერგი შახრაი.

შეხვედრაზე, რომელმაც ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, ყურადღება გამახვილდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე, ორ ქვეყანას შორის სამთავრობო და საპარლამენტო კონტაქტების აუცილებლობაზე.

საუბარი შეეხო, აგრეთვე კავკასიის რეგიონში, კონკრეტულად კი ცალკეულ კონფლიქტურ ზონებში არსებულ მდგომარეობას და მისი სტაბილიზაციისათვის გადადგმულ ნაბიჯებს.

შემდეგ საუბარი გაგრძელდა დახურული კარის მიღმა.

სურათზე: შეხვედრის დროს.

გივი კიკვაძის და ბონდო დვალიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანონის 25-ე მუხლში ცვლილებების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი“.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი. 1993 წლის 18 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის 1993 წლის პროგნოზის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისა და კრიზისის დაძლევის წანამძღვრების შექმნის ღონისძიებათა შემუშავების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს მიერ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, მომზადებული საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის 1993 წლის პროგნოზის ძირითადი მაჩვენებლები და დებულებანი.

2. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა, სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოებმა, სახელმწიფო საწარმოებმა და გაერთიანებებმა, იხელმძღვანელონ პროგნოზში მოცემული საორიენტაციო მაჩვენებლებით და მთავარი ყურადღება დაუთმონ ეკონომიკური განვითარების ტემპების დაცემის შეჩერებისა და მეურნეობის თანდათანობითი აღდგენა-გამოცოცხლების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას.

3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენისას გაითვალისწინოს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებული და დაზუსტებული საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის 1993 წლის პროგნოზის მაჩვენებლები.

4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ დადგენილი წესით წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ინვესტიციური პროგრამა, ძირითად სახეობათა რესურსებისა და პროდუქციის განაწილების კვოტები.

5. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, სამინისტროებმა, კომიტეტებმა, დეპარტამენტებმა და უწყებებმა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ყოველკვარტალური შედეგებისა და ჩამოყალიბებული ეკონომიკური კონიუნქტურის შესაბამისად, დააზუსტონ პროგნოზული დავალებები და შეიტანონ მათში კორექტივები.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს პროგნოზის საფუძველზე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და პროექტების სახით ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმების შემუშავება.

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ 1993 წლის 1 მარტამდე წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წინადადებანი ინდიკატური გეგმების შემუშავების ორგანიზაციისა და წესის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

საპარლამენტო კომისია მსჯელობს

17 თებერვალს გაიმართა საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის სხდომა.

სხდომამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის მიხეილ გურგენიძის ინფორმაცია სამინისტროს ძირითადი ამოცანების შესახებ. ბატონმა მ. გურგენიძემ ისაუბრა ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში არსებული სირთულეების შესახებ. დაისახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შემდგომი ღონისძიებანი. კომისიის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ლეკიშვილმა, შეაჯამა რა სხდომის შედეგები, აღნიშნა, რომ კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს სამინისტროს ტრანსპორტის განვითარების კონცეფციის განხორციელების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებას. სხდომამ განიხილა აგრეთვე, კანონპროექტი „ენერგეტიკის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

საქართველო—რუსეთი:

მეზობლებმა პრობლემები ერთად უნდა გადაჭრან

საქართველოს საზღვრები ურღვევია. სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუვალია. მხოლოდ იმათთან, ვინც იზიარებს ამ პოსტულატებს, შევძლებთ ჩვენ განვავითაროთ კეთილმეზობლური ურთიერთობა, დავამყაროთ კავშირი, წარვმართოთ დიალოგი, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარესთან რამაზან აბდულატიპოვთან და რუსეთის ვიცე-პრემიერთან სერგი შახრაისთან 18 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე.

სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ ერთდღიან ოფიციალურ ვიზიტად.

გამართული დიალოგი იყო მწვავე და პრინციპული. საუბრის დროს წამოიჭრა ორივე მხარისათვის საჭირბოროტო საკითხები, ზოგჯერ ბრალდებებიც კი გაისმოდა. და, მართალია ყველა პრობლემის თაობაზე ვერ მოხერხდა ერთიანი აზრის მიღწევა, მაგრამ, როგორც საუბრის მონაწილეებმა თქვეს, მათ ერთი მიზანი აქვთ: მოაახლოვონ რუსეთსა და საქართველოს შორის ფართომასშტაბიანი შეთანხმების ხელმოწერის ვადები, ერთად მიიღონ მონაწილეობა კავკასიური სახლის შექმნაში, მიაღწიონ ვითარების სტაბილიზაციას რეგიონში.

ლტოლვილთა დაბრუნების მექანიზმის შექმნა, მათი უშიშროების უზრუნველყოფა, მოწყობა-დაბინავების პრობლემები — ესა და სხვა საკითხები იდგა დღის წესრიგში. უნდა შეიქმნას ყველა პირობა იმათი დაბრუნებისათვის, ვინც იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური კერა, ქართველი იქნება იგი, თუ ოსი.

თენგიზ სიგუამ აღნიშნა, რომ აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებისათვის საჭიროა დაიცვან მოსკოვში 3 სექტემბერს მიღწეული შეთანხმებები, რომლებსაც საქართველოს მხარე ზედმიწევნით ასრულებს.

ამავე დროს, უნდა დავიცვათ ის შეთანხმებები, რომლებიც დაკავშირებულია ადლერიდან ტყვარჩელში ჰუმანიტარული რეისების განხორციელებასთან, კონფლიქტის ზონიდან ქართული და აფხაზური ეროვნების ლტოლვილთა გამოყვანის პროპორციის აუცილებელი დაცვით.

შეხვედრის დროს განიხილეს ცხინვალის რეგიონში მტკიცე მშვიდობის დამყარების საკითხები. ცნობილია, რომ საქართველომ გამოყო 500 მილიონი მანეთი იქ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის, დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და ლტოლვილთა მოწყობა-დაბინავებისათვის. მაგრამ ეს სახსრები ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული და ამაში ბრალი მიუძღვით იმ პირებს, რომლებსაც არ სურთ ამ რეგიონში მშვიდობის დამყარება.

მწვავედ იდგა ცხინვალის რეგიონიდან ყველა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირების გამოყვანის, როკის გვირაბისადმი ორმხრივი კონტროლის დამყარების პრობლემის გადაჭრის, კვაისასა და ჯავაში სამშვიდობო ძალების ზონის გაფართოების აუცილებლობის საკითხი.

სერგი შახრაიმ წამოაყენა წინადადება რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდეს თვისებრივად ახალი ურთიერთობა. — ჩვენს ქვეყნებს შორის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ თანასწორუფლებიანი, კეთილმოსურნე დიალოგი, თქვა მან. — უნდა შეიქმნას სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაეხმარება სადავო საკითხების გადაწყვეტაში.

თავის მხრივ, ბატონმა რამაზან აბდულატიპოვმა გამოთქვა წინადადება შეიქმნას შერეული საკონტროლო კომისია, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს შეთანხმებათა შესრულებას. მან შესთავაზა საქართველოს წარმომადგენლებს მიიღონ მონაწილეობა ჩრდილოეთ კავკასიის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში, რომლის სხდომა მიმდინარე წლის მარტისათვის არის დაგეგმილი.

საუბარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე, თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე სანდრო კავსაძე, სხვა ოფიციალური პირნი. შეხვედრას ესწრებოდა რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში ვლადიმერ ზემსკი.

რამაზან აბდულატიპოვი, სერგეი შახრაი და მათი თანმხლები პირნი მიიღო საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ.

გაიმართა საუბარი საქართველო-რუსეთის დღევანდელი და მომავალი ურთიერთობის საკითხებზე, მთელ რიგ პრობლემებზე, რომლებიც აფხაზეთის კონფლიქტს და ცხინვალის ზონაში არსებულ მდგომარეობას უკავშირდება.

სტუმრები შეხვდნენ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობას.

საღამოს რუსეთის დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა.

იმსჯელეს დღევანდელობის უმწვავეს საკითხებზე

პარლამენტის სხდომის დღიური

ოთხშაბათი რეგლამენტით პარლამენტისათვის საინფორმაციო დღეა, სხდომაზე ისმენენ მინისტრთა კაბინეტის, უწყებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს მიმდინარე მოვლენების შესახებ, უპასუხებენ პარლამენტართა შეკითხვებს. გამონაკლისს არც 17 თებერვლის სხდომა წარმოადგენდა, მხოლოდ ერთი განსხვავებით. ამჯერად სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარლამენტის წევრები ჯანსუღ ჩარკვიანი და ზურაბ ჟვანია.

ჯანსუღ ჩარკვიანის განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია რესპუბლიკაში გამომავალი გაზეთების, საინფორმაციო საშუალებების პოზიციამ, კერძოდ, მათმა დუმილმა იმ გაზეთების მიმართ, რომლებიც განზრახ და შეგნებულად ამახინჯებენ ფაქტებს და მრუდე სარკეში უნდათ აჩვენონ ჩვენი სინამდვილე. მას მიაჩნია, რომ ამგვარად ჩვენ ვაგებთ ინფორმაციულ ომს. საქმე ის არის, რომ გაზეთები „საქართველოს სამრეკლო“ და „იბერია-სპექტრი“ უკვე აშკარა დივერსიაზე გადავიდნენ. ბეჭდავენ ცილისმწამებლურ მასალებს აფხაზეთის ომზე, დღევანდელ ხელისუფლებაზე, ძირს უთხრიან მსოფლიოს მიერ აღიარებულ დემოკრატიულ საქართველოს და მოსახლეობას სახალხო დაუმორჩილებლობისკენაც კი მოუწოდებენ. და ასეთ დროს, ნუთუ არც ერთი გაზეთი არ უნდა უპასუხებდეს ამ ცილისწამებებს?

შემდეგ სიტყვა აიღო პარლამენტის წევრმა გივი ლომინაძემ, მან თქვა, რომ განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას გაზეთ „იბერია-სპექტრში“ დაბეჭდილი წერილის „გვეხსენით მაფიისაგან“ ავტორების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე. გ. ლომინაძემ მოუწოდა პარლამენტს, გამოჰყოს კომისია სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მონაწილეობითაც, რომელიც შეამოწმებს წერილში მოყვანილ ფაქტებს და ბრალდებებს, რადგან იგი ეხება პარლამენტსაც, მთავრობასაც, კონკრეტულ პირებსაც და მისი დატოვება რეაგირების გარეშე არ შეიძლება.

სხდომაზე სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა პარლამენტარმა ზურაბ ჟვანიამ. მოხსენებამ დიდი ინტერესი და კამათი გამოიწვია.

პარლამენტის სხდომა გვიანობამდე მუშაობდა.

18 თებერვალს მუშაობა გააგრძელა საქართველოს პარლამენტის სხდომამ.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას მრავალი მამულიშვილი შეეწირა, ბევრიც დაინვალიდდა და დღევანდელ, ისედაც გაჭირვებულ ყოფაში ერთობ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სწორედ რომ დროულად დაინტერესდნენ მათი ბედით საქართველოს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიაში. პარლამენტის წინაშე კომისიამ დააყენა საკითხი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მოხალისეებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს, შინაგანი ჯარის მოსამსახურეებს, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკებსა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების წევრებს დაენიშნოთ პენსიები და დაუწესდეთ შეღავათები. მართალია, დადგენილებას, რომელიც ამასთან დაკავშირებით მიიღო პარლამენტმა, არ გააჩნია იმის პრეტენზია, რომ საგრძნობლად გააუმჯობესებს დაინვალიდებული მეომრების ან დაღუპულთა ოჯახების წევრთა ცხოვრების პირობებს, ითქვა სხდომაზე, მაგრამ ერთგვარად მაინც შეუწყობს ხელს მათი პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას მანამდე, სანამ გამოვიდოდეს სოციალური დაცვის ყოვლისმომცველი ახალი კანონი.

ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვნად მიიღეს პარლამენტის წევრებმა დავით კუპრეიშვილის წინადადება, რომ, ალბათ, დადგა დრო, ვიფიქროთ იმ ადამიანების სოციალურ დაცვაზეც, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტის მეორე მხარეს — გერმანიაში ქართულ ლეგიონებში იბრძოდნენ. ამ ხალხს ხომ ჯერაც კიდევ სამშობლოს მოღალატის იარლიყი აკერია...

პარლამენტის სპიკერის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ პარლამენტართა სამსჯავროზე გამოიტანა კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის სტატისტიკისა და ანალიზის კომიტეტად გარდაქმნის შესახებ. როგორც მან თქვა, მინისტრთა კაბინეტი შემოვიდა საკანონმდებლო ინიციატივით შეიცვალოს კომიტეტის სახელწოდება. თუმცა ის შეცვლა შინაარსობრივ ცვლილებებსაც ითვალისწინებდა — კომიტეტი, რომელიც ადრე საქართველოს უზენაეს საბჭოსთან, ამჟამად კი საქართველოს პარლამენტთან არსებობს, ახალი კანონის საფუძველზე, თუკი მას მიიღებდა პარლამენტი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაექვემდებარებოდა. პარლამენტარებმა კანონპროექტი არ მიიღეს.

რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივ უზრუნველყოფას ეხებოდა პარლამენტის წევრის დავით მელიქიშვილის მოხსენება. მან აღნიშნა, რომ უკვე არსებობს საკმაო მოცულობის კანონმდებლობა იმისათვის, რათა დღესვე დაიწყოს ეკონომიკური რეფორმები საქართველოში. თუმცა, მისი აზრით რეფორმების განხორციელებას მთელი რიგი პრობლემები აფერხებს. მომხსენებელმა ისაუბრა მათი გადაჭრის გზებზე.

შემდეგ სიტყვა აიღო პარლამენტის წევრმა მარკ რივკინმა. ის შეეხო მეტად მნიშვნელოვან პრობლემას — კანონს მოქალაქეობის შესახებ, რომლის მიღების საკითხი ათასობით მოქალაქის აწუხებს. უპირველესად კი ის პრობლემა აღელვებს იმ ადამიანებს, რომლებიც გაურკვეველ მდგომარეობაში არიან საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, რუსეთის არმიის ოფიცრები, ის პირები, რომლებიც მზად არიან დარჩნენ საქართველოში, მიიღონ ფიცი, იმსახურონ საქართველოს, მაგრამ მათ სჭირდებათ გარანტია, რომ ხვალ მათ ოჯახებს არ გაასახლებენ. ვფიქრობ, ეს ხალხი საქართველოს, მის შეიარაღებულ ძალებს სჭირდება, თქვა მარკ რივკინმა და შემოვიდა წინადადებით — დროებით, ვიდრე ახალ ქართულ პასპორტებს შემოვიღებდით, ძველ პასპორტებში ჩაირტყას შტამპი „საქართველოს მოქალაქე“, რაც გააკეთეს კიდეც ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში.

შესვენების შემდეგ კამათი გაგრძელდა დღის წესრიგის პუნქტით „სხვადასხვა“. პარლამენტის წევრებმა ილაპარაკეს დღევანდელობასთან დაკავშირებულ არაერთ უმწვავეს პრობლემაზე, მათ შორის საქართველოს პარლამენტის სხვა ქვეყნების პარლამენტებთან კონტაქტების აუცილებლობაზე. ირაკლი მელაშვილმა პარლამენტარებს გაუზიარა იტალიის პრეზიდენტთან შეხვედრის, მოსკოვში რუსეთის პარლამენტში გამართული საუბრების შთაბეჭდილებები და თქვა, რომ მისი აზრით, „საქართველო საინფორმაციო ომს კი არ აგებს, არამედ საერთოდ არ აწარმოებს“. ალბათ ეს ფაქტი ღირს დაფიქრებად.

საღამოს გაიმართა დახურული სხდომა, რომელიც ორგანიზაციულ საკითხებს მიეძღვნა.

შედეგები სავალალოა, ამოცანები — რთული

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

დავით ბიწაძე

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების, რაიონების პროკურორები, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი თეიმურაზ ხაჩიშვილი, იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია, სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, პრესის, ტელევიზიის, რადიოს მუშაკები.

გასული წლის შედეგებსა და მიმდინარე წლის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა თედო ნინიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ანზორ ლაცუზბაია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე გოდერძი ბორჩხაძე, ქ. თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე, რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი რამაზ ქლენტი, რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე როლანდ გილიგაშვილი, ტრანსპორტზე კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი ნუგზარ შოშიაშვილი, ქ. რუსთავის პროკურორი სიმონ მაჭავარიანი, ქ. ქუთაისის პროკურორი შალვა კვარაცხელია, ხაშურის რაიონის პროკურორი ლენა კაპანაძე, გორისა და ზუგდიდის სარაიონთაშორისო პროკურორები ამირან ნოზაძე, კიაზო ჭანტურია, სამტრედიის რაიონის პროკურორი დალი იმნაიშვილი, რესპუბლიკის პროკურატურის სამოქალაქო საქმეებზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი მანანა ქურდაძე და სხვ.

ორატორებმა გაანალიზეს ქვეყანაში შექმნილი რთული კრიმინოგენული მდგომარეობა. აღინიშნა, რომ საქმე გვაქვს დამნაშავეობის ზვავისებურ ზრდასთან, რომელიც წალეკვით ემუქრება ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი არსებობის მატერიალურ და სულიერ საყრდენებს. ამის დასტურია დამნაშავეობის ინტენსიურობის, სოციალური და ტერიტორიული გავრცელების, დამნაშავეთა აქტიურობისა და ორგანიზებულობის სტატისტიკა. მისი ანალიზი მნიშვნელოვანწილად მიგვანიშნებს დამნაშავეობის ძირითად მიზეზებსა და ჩვენი საქმიანობის წამყვან მიმართულებებზე.

შარშან, წინა წლებთან შედარებით, დანაშაულთა საერთო ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1991 წელთან შედარებით მძიმე დანაშაულმა 86 პროცენტით იმატა და მისი ხვედრითი წილი დამნაშავეობის საერთო სტრუქტურაში 33 პროცენტია, ხოლო დამნაშავეობის კოეფიციენტი ყოველ ათი ათას სულ მოსახლეზე, თუ ოფიციალური მონაცემებით ვიმსჯელებთ, რაც, ცხადია, ზუსტი არ არის, 44,3 პროცენტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში დამნაშავეობით უშუალოდ მოსახლეობის თითქმის ნახევარი ზარალდება.

ერთნაირი ინტენსიურობით იზრდება როგორც სახელმწიფოს, ისე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი: სახელმწიფო ქონების ქურდობა გაზრდილია 71 პროცენტით, განზრახ მკვლელობა — 80 პროცენტით. ეს მაჩვენებლები ნათლად მიუთითებენ დამნაშავეობის სოციალურ მიმართულებებზე. შემაშფოთებელი და ბევრის მთქმელია დამნაშავეობის მოტივაციის მაჩვენებელი. დამნაშავეობის ერთ მესამედზე მეტი ანგარებითია. დამნაშავეთა დიდ აქტიურობაზე მეტყველებს ისიც, რომ 2.631 პირმა დანაშაული ჯგუფურად ჩაიდინა.

საგულისხმოა დანაშაულის ჩამდენ პირთა წრე და დამნაშავეობის გეოგრაფიაც. დამნაშავეთა ორმოც პროცენტზე მეტს 14-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ. დამნაშავეთა 38 პროცენტი შრომისუნარიანია, რომელიც არსად არ სწავლობს და არ მუშაობს.

კოლეგიის სხდომაზე დასახელდა სხვა ამაღელვებელი ციფრებიც: წლის განმავლობაში ოფიციალურად აღრიცხულია 937 მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა. ცხადია, ამაში არ შედის კონფლიქტების რეგიონებში აღურიცხავად დახოცილები. დანაშაულობანი გაიზარდა ქვეყნის 48 ქალაქსა და რაიონში, მათ შორის ტრადიციულად მშვიდ რაიონებშიც. იგი განსაკუთრებით მძვინვარებს გარდაბნის, გორის, დმანისის, დუშეთის, ზუგდიდის, ყვარლის, მცხეთის, ხაშურის, ზესტაფონის, სამტრედიის, ქ. თბილისის დიდუბის, ნაძალადევის, ისნის, საბურთალოს რაიონებში, ქალაქებში — თბილისში, ქუთაისსა და ფოთში.

გამომსვლელებმა მიმოიხილეს დამნაშავეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მდგომარეობა. მძიმე კატეგორიის დანაშაულმა მოიცვა 50-მდე ქალაქი და რაიონი. მათ შორის გარდაბნის, გურჯაანის, ქარელის, მარნეულის, საგარეჯოს, ზუგდიდის, ზესტაფონის, სამტრედიის, წყალტუბოს, თერჯოლის რაიონები, ქ. წყალტუბოს ზონა, ქ. რუსთავი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, განზრახ მკვლელობათა ოდენობა მკვეთრად გაიზარდა ახალქალაქის, ახმეტის, ბოლნისის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, თიანეთის, ქ. თბილისის დიდუბის, ჩუღურეთის, სამგორის, ისნის რაიონებში, თბილისში, რუსთავში, ტყიბულსა და ჭიათურაში — სულ 53 რეგიონში. 60-მდე რაიონში გაიზარდა ყაჩაღობა, 46 რეგიონში — სახელმწიფო ქონების, 35 რაიონში — მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის რაოდენობა.

კოლეგიამ იმსჯელა დამნაშავეობის ზრდის სოციალურ-სამართლებრივ ფაქტორებზე, ყურადღება მიაპყრო იმ შეცდომებსა და დარღვევებს, რომელთაც ადგილი აქვს სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის პროკურატურის მუშაკების საქმიანობაში იურიდიული და ორგანიზაციული ნორმების დაცვისა და შესრულების თვალსაზრისით. სამართალდარღვევებთან ბრძოლაში სამართლებრივი და ორგანიზაციული საშუალებების არასაკმარის ეფექტურობაზე, სამართლებრივი რეგულირების ხარვეზებზე.

პირველი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-სამართლებრივი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს დამნაშავეობის კატასტროფულ ზრდას, სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის აუცდენლობის პრინციპის უგულებელყოფაა.

აღნიშნულის ნათელსაყოფად ორატორებმა განაცხადეს, რომ დანაშაულობათა დიდი ნაწილი არ აღირიცხება, შინაგან საქმეთა ორგანოებში აღმოფხვრილი არ არის დანაშაულის მიჩქმალვის ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა, ეს სენი განსაკუთრებით გავრცელებულია თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდის, გორის, ხაშურისა და სხვა რაიონებში. შარშან რეგიონების პროკურორებმა დამატებით აღრიცხვაზე აიყვანეს 476 დანაშაული, მათი დიდი ნაწილი ქონებრივ და ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მარტო ნარკოტიკულ ნივთიერებათა გატაცების მიზნით ოცჯერ მოხდა შეიარაღებული თავდასხმა რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოზე, ცხრაჯერ ონკოლოგიურ ცენტრზე, რვაჯერ ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის ინსტიტუტზე. ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს თბილისის ვაკის, საბურთალოსა და ჩუღურეთის რაიონების პოლიციის განყოფილებებისათვის მომხდარი დაუყოვნებლივ უცნობებიათ, მაგრამ არცერთი ფაქტი აღრიცხული არ ყოფილა. ასეთ შემთხვევებზე რეაგირება კი შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის მხრივ არაპრინციპული, ზოგჯერ ზედმეტად ლოიალურია.

დანაშაულის მიჩქმალვის პრაქტიკა დღეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია. იგი კორუფციის წყაროა, ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის სხვა დანაშაულობათა ჩასადენად, მოსახლეობაში აძლიერებს უნდობლობას სამართალდამცავი ორგანოებისადმი, რასაც თვითგასამართლებამდე, ადამიანთა ელემენტარული უფლებების დარღვევამდე, განუკითხაობამდე მივყევართ. ამგვარი საზოგადოებრივი საშიშროების ფონზე სამართლიანად გააკრიტიკეს ჩოხატაურის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, დუშეთის, ახალგორის, კასპის რაიონების პროკურორები, რომელთაც შარშან არ გამოუვლენიათ მიჩქმალული დანაშაულის არცერთი შემთხვევა. დამნაშავეობის სწორი აღრიცხვა სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომლის სწორად წარმართვაში პროკურორებმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან, — აღინიშნა სხდომაზე.

როცა საუბარი შეეხო დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის არიდებას, დანაშაულის ლატენტობას, აღიარეს სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის უსუსურობა, ითქვა, რომ ამჟამად, როცა ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო ქვეყანაში შექმნილია ანგარებითი ქმედებისთვის ესოდენ ხელსაყრელი პირობები, გასულ წელს გამოვლენილია მექრთამეობის მხოლოდ 3 ფაქტი(?!) აბაშის, ხაშურის, თბილისის ჩუღურეთის რაიონებში. აღინიშნა, რომ ასეთი სტატისტიკის ფონზე სისხლის სამართლებრივ პოლიტიკაზე სერიოზული საუბარი, სულ ცოტა, ღიმილის მომგვრელია.

იმისათვის, რომ მეტი წესრიგი და მომთხოვნელობა დამყარდეს დამნაშავეობის სწორი აღრიცხვისა და რეგისტრაციის სფეროში, პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ კანონით გათვალისწინებული ფუნქციური მოვალეობებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდასთან ერთად უნდა აღადგინონ ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილი ფორმები: ცენტრალური აპარატების მუშაკთა მონაწილეობით შეიქმნას ერთობლივი სპეციალური კომისია, რომელიც პერიოდულად შერჩევით შეამოწმებს ამა თუ იმ რაიონში დანაშაულობათა სწორი აღრიცხვისა და რეგისტრაციის რეალურ ვითარებას.

კოლეგიის სხდომაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, თუ რა საოცრად გაიზარდა ქვეყანაში დანაშაულის გაუხსნელობის მაჩვენებელი. ეს მოითხოვს გამოძიების სფეროს რადიკალურ რეფორმას. მაგრამ ვიდრე იგი არ მომხდარა, რაშიც მეტი სიფრთხილე და დაფიქრებაა საჭირო — ამბობდნენ ორატორები, — უნდა აღდგეს ის მივიწყებული ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებები, რომლებიც არც თუ შორეულ წარსულში დადებით შედეგებს იძლეოდა. მთავარი [illegible] მიმართულებაა გამოძიების და გამოძიებაზე ზედამხედველობის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის ამაღლება. ბოლო უნდა მოეღოს პროცესის ძირითადი ფიგურის — გამომძიებლის უყურადღებოდ, ჯეროვანი დახმარების, საპროკურორო ზედამხედველობის გარეშე დატოვებას, რასაც არასასურველი შედეგები მოსდევს. ხშირად არასაკმარისი კვალიფიკაციის, თუ უპასუხისმგებლობის გამო ჩვენი გამომძიებლები ჯეროვნად ვერ ასრულებენ ისეთ პროცესუალურ მოქმედებას, რომელზეც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სისხლის სამართლის საქმის ბედი — შემთხვევის ადგილის დათვალიერებას, ვერ ავლენენ მატერიალურ მტკიცებულებებს, უხარისხოდ აფიქსირებენ კვალს, ბევრი მათგანი ვერ იყენებს კრიმინალისტურ ტექნიკას, არ იცნობს და ვერ ფლობს ამ კატეგორიის საქმეების გამოძიებისათვის საჭირო ჩვევებს, მეთოდებს, ტაქტიკას. ამიტომ მათთან მეტი მონდომებით უნდა იმუშაონ მათ, ვისაც ეს სახელმწიფოებრივად ევალება — ქალაქების, რაიონების პროკურორებმა და პროკურატურის განყოფილების, ანუ ზონის პროკურორებმა.

ჩვენ სერიოზულად მოვთხოვთ პასუხს, — გაისმა კოლეგიის ტრიბუნიდან, — ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს, რომლებიც არ გადიან შემთხვევის ადგილებზე, საჭირო კონტროლს და ზედამხედველობას არ უწევენ გამოძიებას, არ ეხმარებიან გამომძიებლებს ვერსიების შემუშავებაში, საგამოძიებო-ოპერატიული გეგმების შედგენაში, არ აძლევენ მათ დავალებებსა და წერილობით მითითებებს კონკრეტულ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების შესახებ, ან თუ აძლევენ, არ ამოწმებენ მათი შესრულების მიმდინარეობას.

საუბარი შეეხო მართლმსაჯულების საკითხს, პროკურორების მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში. მოიტანეს მარტივი სტატისტიკური მონაცემები: შარშან რეგისტრირებულ დანაშაულთა მხოლოდ მეხუთედი გადაეცა სასამართლოს და მათზე გამოტანილი განაჩენების თითქმის ნახევარიც გააუქმა ან შეცვალა ზემდგომმა სასამართლო უწყებამ. პროკურატურის მუშაკებიც არათანამიმდევრულად უდგებიან საქმეთა სასამართლო განხილვას. ამის შედეგია, რომ შარშან განაჩენების დიდი ნაწილი გაუქმდა და მაინც მხოლოდ 9 მათგანზე იყო შეტანილი პროკურორების საკასაციო პროტესტი. იშვიათი როდია, როცა პროკურორები არ აპროტესტებენ გამოტანილ უკანონო განაჩენებს, და პირიქით, აპროტესტებენ კანონის შესაბამისობით გამოტანილ განაჩენებს. რესპუბლიკის პროკურატურამ სწორედ ამიტომაც მოხსნა შარშან პროკურორების პროტესტი ქუთაისის, ახმეტის, ხაშურისა და სხვა რაიონების სასამართლოების განაჩენებზე. სასამართლოს ბევრი განაჩენი გაუქმდა აგრეთვე საკასაციო პროტესტების გარეშე საკასაციო საჩივრების საფუძველზე.

კოლეგიის სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს დანაშაულის გამოძიების მეტისმეტად დაბალი დონე და მისი გახსნის დაბალი მაჩვენებელი. შარშან გაუხსნელი დარჩა აღრიცხული დანაშაულის 72,2 პროცენტი. წინა წელთან შედარებით 3 პროცენტით გაუარესდა დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი, გაუხსნელი დარჩა მძიმე დანაშაულობათა თითქმის 82 პროცენტი ანუ რეგისტრირებულიდან გაუხსნელია 13.406 დანაშაული, რაც აღმაშფოთებელია თუნდაც იმიტომ, რომ თითო დანაშაულში თითო კაციც რომ მონაწილეობდეს, დაუსჯელია რამდენიმე ათასი კაცი, რომლებმაც შეიძლება ჩაიდინონ ან ჩაიდინეს სხვა დანაშაული.

არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ პირობებში, — აღინიშნა სხდომაზე, დამნაშავეობამ თვისებრივად ახალი სახეები და ფორმები შეიძინა. იმატა სამრეწველო საწარმოებიდან და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებიდან მზა პროდუქციის, ძვირადღირებული ინვენტარის დატაცების ფაქტებმა, ფეხმოკიდებულია რეკეტი, ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით, იზრდება უმოტივო მკვლელობათა რიცხვი, ფართოვდება კორუფციის ქსელი. ქვეყანაში თვალნათლივ ჩანს ორგანიზებული დამნაშავეობის ჩამოყალიბების ტენდენცია. რომლის გავრცელების მასშტაბები ხშირად სცილდება ქვეყნის ფარგლებს. ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება „ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ". რესპუბლიკის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბებულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სამმართველოები. ამ შედარებით ახალ ფორმირებებს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე ეკისრებათ, რაც ითხოვს მაღალ პროფესიულ ოსტატობასა და უკომპრომისობას. მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი მოქალაქეთა დაცვას ორგანიზებული დამნაშავეობის ხელყოფისაგან.

კოლეგიამ ზოგადად გაანალიზა ეკონომიკაში არსებული მძიმე ვითარება, აღნიშნა, რომ შარშან, წინა წელთან შედარებით, საქართველოს მრეწველობამ 58 მილიარდი მანეთით ნაკლები სამრეწველო და 14 მილიარდი მანეთით ნაკლები სოფლის მეურნეობის პროდუქცია აწარმოვა, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრი გაუარესება. რესურსების უქონლობით გაჩერდა ან ჩერდება ბევრი საწარმო, იზრდება უმუშევრობა, ყალიბდება მძიმე კრიმინოგენული პირობები. ეკონომიკური ურთიერთობის [illegible], საომარმა ვითარებამ, ექსტრემალურმა პირობებმა გამოიწვია კანონის დისკრედიტაცია, მმართველობით ურთიერთობაში ინერტული გახდა სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოები, დაქვეითდა საერთო ზედამხედველობითი აქტიურობა. პროკურორები გვერდში უნდა ედგნენ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან დაკავშირებულ მოვლენებს, თავიანთი აქტიური ძალისხმევით ხელს უნდა უწყობდნენ ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებს.

დაუშვებლად იქნა მიჩნეული, რომ იჯარის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობა არ შეამოწმეს ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, დუშეთის, გურჯაანის, დმანისის, საგარეჯოს, სამტრედიისა და სხვა რაიონების პროკურორებმა. აღინიშნა ახალციხის, ყვარლის, ლაგოდეხის, ოზურგეთის რაიონების პროკურორების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საერთო ზედამხედველობის ხაზით, რომელთაც არ შეუმოწმებიათ არცერთი საკვანძო საკითხი, მათ შორის სახელმწიფო საკუთრების შესახებ კანონების დაცვის მდგომარეობა.

საპროკურორო ზედამხედველობის გარეშე რჩება ფარული პრივატიზაციის პროცესები, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს იჯარით გაცემული ობიექტების ყიდვა-გაყიდვა, უკიდურესად გამწვავებულია ეკოლოგიური სიტუაცია, არის ხე-ტყის უკანონო გაჩეხვისა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანის ფაქტები. შექმნილი პრობლემების გათვალისწინებით საჭიროა გამოიკვეთოს საერთო ზედამხედველობის პრიორიტეტული მიმართულებანი; სამართლებრივი აქტების კანონებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობა. უმნიშვნელოვანეს მიმართულებად რჩება ეკოლოგიური უსაფრთხოების განმსაზღვრელი კანონების დაცვაზე ზედამხედველობა.

ცვლილებებმა, რაც პროკურატურის შესახებ დებულებაში განიცადა ტრანსპორტზე საპროკურორო ზედამხედველობამ, — აღინიშნა სხდომაზე, — ორგანიზაციული და პროცესუალური თვალსაზრისით არასასურველი როლი ითამაშა. ერთი მხრივ, პროკურატურის საქმიანობის ამ მიმართულებაზე და, მეორე მხრივ, სატრანსპორტო სამართლებრივ ურთიერთობებში კანონიერების განმტკიცებაზე: შემცირდა შემოწმებათა ოდენობა, კანონების უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად ნაკლებად ტარდება საპროკურორო რეაგირების ქმედითი ზომები. კატასტროფული ვითარებაა სამეურნეო ტვირთების დაცვის თვალსაზრისით. რაიონებისა და ქალაქების პროკურორებმა, ვისაც დაეკისრა ამ საქმეთა გამოძიება, იგი მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნიეს. ბუნებრივია, პროკურატურა იზრუნებს ტრანსპორტზე ზედამხედველობის სტრუქტურის აღსადგენად, მაგრამ ვიდრე ეს არ მომხდარა, საჭიროა პროკურორებმა პასუხი აგონ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ის განუკითხაობა, რასაც ადგილი აქვს სამეურნეო ტვირთების დატაცების ფაქტების გაუხსნელობის გამო. რეგისტრირებული 622 შემთხვევიდან გახსნილია მხოლოდ 133 დანაშაული. ზესტაფონისა და სამტრედიის რაიონებში ამ სახის დანაშაულის გახსნის მაჩვენებლები შესაბამისად 3 და 24 პროცენტია. ამ ორ ციფრს კომენტარი არ სჭირდება.

კოლეგიის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროკურორის მონაწილეობის შესახებ არსებული მეთოდური რეკომენდაციები მოძველდა. შესაბამისი ნორმატიული ბაზის განახლების სფეროში ქმედითი მუშაობაა საჭირო, რაც დიდად შეამცირებს საჩივრებისა და განცხადებების იმ ნაკადს, რომელსაც მოქალაქეთა ქონებრივი, საბინაო, შრომითი უფლებების დაცვის შესახებ პროკურატურა იღებს.

კოლეგიის სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ბატონმა თედო ნინიძემ.

არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც კოლეგია არ შეეხო. ყოვლისმომცველმა, ღრმაშინაარსიანმა, კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა მოხსენებამ მოკამათენიც საამისოდ განაწყო. სააშკარაოზე გამოიტანეს ყველაფერი, რაც უარსაყოფია და არა თუ ზღუდავს და აღკვეთს დამნაშავეობას, არამედ კიდევაც წაახალისებს მას. ორატორებმა წამოაყენეს წინადადებანი, რომელთა განხორციელება გადაარჩენს საქართველოს, ხოლო შემდეგ ახალ სიმაღლეებზე აიყვანს მას. ყველაფერი ეს ფართოდ აისახა კოლეგიის მიერ მიღებულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებში.

ისტორიასთან ხუმრობა საშიშია

გრიგოლ ჟვანია

როგორც ცნობილია, უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება მასალები, რომლებშიც რუსეთი წარმოდგენილია როგორც ქვეყანა, რომელსაც ყველა უნდა უფრთხოდეს და გაურბოდეს. ამგვარ დებულებათა ავტორები რუსეთთან, საქართველოს რაიმე კავშირზე ლაპარაკსაც კი ზედმეტად, საშიშ საქმედ მიიჩნევენ.

ახლა საქართველოში განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებს ხშირად ნათლავენ, როგორც საოკუპაციოს და მოითხოვენ საქართველოს ტერიტორიიდან მათ დაუყოვნებლივ გაყვანას.

იმედია, ამგვარ დებულებათა ავტორები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცნობილი ეროვნული მოღვაწეები არიან, არ მიწყენენ, თუ აღნიშნულ საკითხებზე გამოვთქვამ რამდენიმე განსხვავებულ მოსაზრებას, ცხადია, ჩვენი ერის ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩვენი მოსაზრება პირველ საკითხზე.

ვფიქრობ, ნაკლებად საჭიროებს მტკიცებას ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა ქართველი ერისათვის რუს ხალხთან მეგობრობას. სწორედ რუსეთთან შეერთებამ სამუდამოდ გადაარჩინა საქართველო აღმოსავლელ დამპყრობთა შემოსევის საფრთხისაგან და დაიწყო მის ისტორიაში ახალი ხანა, მშვიდობიანი ცხოვრების, წარსულთან შედარებით ინტენსიური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ხანა.

რომ რუსეთთან შეერთება არა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ წარიმართებოდა ქართველი ერის მომავალი, შეინარჩუნებდა თუ არა იგი თავის ადგილს რუკაზე.

აფასებდა რა ამ ურღვევი მეგობრობის მნიშვნელობას ქართველი ერის ისტორიული ბედისათვის, ი. ჭავჭავაძე წერდა: „ამ ღირსსახსოვარ დღიდან (ე. ი. 1799 წელს რუსეთიდან მაშველი სამხედრო ძალების მიღებასთან დაკავშირებით — გ. ჟ.) საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. **შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე, გაქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ბუგავდა ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო ხაზინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უწყოდ, უნუგეშოდ, ყველასაგან შორს, მარტოდ მარტო იბრძოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა".**

უკეთესად ვერაფერს იტყვი. არ იქნება ურიგო, კარგად ჩაუფიქრდნენ ამ სტრიქონებს ისინი, ვინც აგდებულ დამოკიდებულებას იჩენენ ქართველი ერის ისტორიულ ბედში რუსი ერის როლის შეფასებისადმი.

მაგრამ მარტო დიდი ილია როდი წერდა ასე. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე, ქართველი ერის ისტორიულ ბედში ამ მეგობრობის მნიშვნელობაზე ასეთივე სულისკვეთებით წერდნენ ერის სხვა გამოჩენილი მოღვაწეებიც.

ძლიერ საეჭვოა, რომ რომელიმე მაშინდელ ქართველ მოღვაწეს საჭირო მიეჩნია რუსეთის წინაშე მლიქვნელობა, ან კიდევ ჩვენზე ნაკლებად ჰყვარებოდა თავისი ერი. ღმერთმა ქნას, რომელიმე ჩვენგანმა შეძლოს ერის სახელისა და დიდებისათვის იმის მესამედის გაკეთება, რაც მათ გააკეთეს თავის დროზე ერის მომავლისა და ღირსებისათვის.

თავის მხრივ, რუსული აზროვნების გიგანტები მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერისადმი, მისი მოწინავე ადამიანებისადმი. გრიბოედოვმა თქვა: სამყაროს მშვენიერება ქართველშია განსახიერებული. მაგრამ ისინი არა მარტო თვითონ იყვნენ ქართველი ერის თაყვანისმცემლები, ამასთან ერთად დიდ მუშაობას ეწეოდნენ რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ხალხებში ქართველი ერისადმი ნდობისა და სიყვარულის დასანერგად.

ზემოაღნიშნული ოდნავადაც არ გულისხმობს ქართველი ერის მიერ მონურ ქედის მოხრას რუსეთის წინაშე. არც იმას გულისხმობს, რომ ჩვენ დავივიწყოთ ცარიზმის შავრაზმული ძალების შოვინისტური პოლიტიკით, ცარისტულ რუსეთთან უმძიმესი ბატონყმური დამოკიდებულებით გამოწვეული ნაწყენობა, გულისტკივილი, შემდეგ კი რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციისა და შემდგომ განვლილ 70 წლის მანძილზე საბჭოთა მთავრობის ბიუროკრატიულ-შოვინისტური აპარატის მიერ ქართველთა დამცირება. ქართველი ერი ყველაფერ ამას ვერ დაივიწყებს, არც უნდა დაივიწყოს. კიდევ უფრო ნაკლებად ექვემდებარება პატიებასა და დავიწყებას ის დიდი ვერაგობა, რომელსაც სჩადის რუსეთის მმართველი წრეების ერთი უმნიშვნელო ფაშისტური ნაწილი ქართველი ერის მიმართ აფხაზეთში. ათმაგ სიძულვილსა და ზიზღს იმსახურებს აფხაზ ექსტრემისტებზე ოქროს ჯაჭვით მიბმული რუსი ოფიცერი, რომელიც ბრძანებას აძლევს თავის რუს მებრძოლებს ესროლონ და სიცოცხლეს გამოასალმონ სამართლიანი საქმისათვის მებრძოლი ქართველი ახალგაზრდობა.

ყველას თავისი სათქმელი აქვს

ვფიქრობთ ზემოთქმულში საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს ჩვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე.

მაგრამ მთავარია, რომ რუსული შოვინიზმისაგან მიღებული მწარე გაკვეთილები და დამცირება ქართველმა ერმა არ გამოხატოს რუსი ერისადმი მტრობით. ჩვენ უნდა შევძლოთ უემოციოდ, მშვიდად, გონების კარნახით ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მშრომელი რუსეთი, მისი წრიდან გამოსული მოწინავე ინტელიგენცია რუსეთის აგრესიული, შოვინიზმის ფაშისტური ფსიქოლოგიის ავთვისებიანი სენით შეპყრობილი ნაწილისაგან, რომელიც ოცნებობს რუსეთსა და ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ განაპირა მხარეებში პირვანდელი სახის პოლიციური რეჟიმის დამკვიდრებაზე. ცხადია, ეს ნაწილი უდავოდ იმსახურებს ქართველი ერის მხრივ ათმაგ და ასმაგ სიძულვილსა და ზიზღს.

ვისაც გულწრფელად აინტერესებს ქართველი ერის ბედი, მშენებარე ახალი საქართველოს ბედი, მან კარგად უნდა შეიგნოს და შეისისხლხორცოს, რომ ჩვენი ერის ბედი უმჭიდროესად, გეოგრაფიულად, ათასობით ეკონომიკური და კულტურული ძაფით არის დაკავშირებული რუსეთთან, რუს ხალხთან. ამ ფაქტის შეუმჩნევლობა შეუძლია ადამიანს, რომელსაც აქვს ხელოვნურად შეძენილი სიბრმავე.

ამიტომ ყველა ჩვენგანის ვალია, კი არ გავწყვიტოთ ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ეს ძაფები, არამედ ვამრავლოთ, ვაღრმავოთ და კიდევ უფრო განვამტკიცოთ ამ ორ ერს შორის ძმობა და მეგობრობა, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო კავშირი. ცხადია, ამ თანამშრომლობის საფუძვლად უნდა იდოს თანასწორუფლებიანობის ურყევი პრინციპი.

ჩვენ უნდა ვეძებდეთ, ვაგროვებდეთ და ვამრავლებდეთ მეგობრებსა და მომხრეებს ყველგან — აღმოსავლეთშიც, ჩრდილოეთშიც, სამხრეთშიც, დასავლეთშიც, ვამყარებდეთ მათთან დიპლომატიურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას. ამას მოითხოვს საქართველოს დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც მოგვაგონებს ადამიანს, ყავარჯენზე დაყრდნობილი, ძლივს რომ ინარჩუნებს წონასწორობას.

ასეთია მწარე სინამდვილე.

ამიტომ, ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ ჩვენი ერი მყარად დადგეს საკუთარ ფეხზე, მისთვის ჩვეული ღირსებით, აუცილებელია სხვადასხვა პარტიებსა და ორგანიზაციებს შორის იყოს სრული ერთსულოვნება ამ საკითხში. ჯერჯერობით კი, სამწუხაროდ, გამოდის იგავის — „გედი, ქარიყლაპია და კიბოს" მსგავსად. არაა გამორიცხული, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს საბედისწერო შედეგები მთელი ერისათვის.

საეჭვოა, ძლიერ საეჭვოა, რომ საწინააღმდეგო ქმედებამ რაიმე სიკეთე მოუტანოს ქართველ ერს.

ასეთია მოკლედ, ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი მოსაზრება პირველ საკითხზე.

ჩვენი მოსაზრება მეორე საკითხზე:

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, პრესის ფურცლებზე, ტელეგადაცემებში, ასევე მიტინგებსა და კრებებზე ხშირად ნათლავენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს, როგორც საოკუპაციოს. ამასთან, ამგვარი იდეის ავტორები განუწყვეტლივ აყენებენ გამოღიზიანებულ მოთხოვნებს საქართველოს საზღვრებიდან ოლქის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ.

კითხვა ისმის: რამდენად უპასუხებს თანამედროვე ეტაპზე უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს ამგვარი მოთხოვნები?

მართლაც, იყო პერიოდი, როცა საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ძალები ასრულებდნენ საოკუპაციო ჯარის ფუნქციას. კერძოდ, 1921 წლის თებერვალში რუსეთის XI არმიამ სრულებით დამსახურებულად მიიღო საოკუპაციო ჯარის სახელი. სწორედ ამ არმიამ დაამხო მაშინ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველი დემოკრატიული წყობილება, ამასთან ერთად რუსეთის არმია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ასრულებდა საქართველოში რუსეთის საბჭოთა მთავრობის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის მთავრობის ანექსიონისტურ-შოვინისტური პოლიტიკის სამხედრო წესით დამკვიდრებისა და განმტკიცების ფუნქციას.

ახლა კი, განსაკუთრებით საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოში განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ფუნქცია, ჩვენის აზრით, არსებითად შეიცვალა.

ქართველი ერი დღეს თვითონაა თავისი სახლის ბატონ-პატრონი, თავისი ბედის გამგებელი პოლიტიკურად, ეკონომიკურად...

მაგრამ თანამედროვე ეტაპზე, როცა ჩვენს რესპუბლიკას თვითონ სჭირდება სამხედრო დაცვა, სამხედრო საფარი, ამიერკავკასიის სამხედრო ნაწილების ოკუპანტებად მონათვლით, მასთან ბრძოლისაკენ ხალხის წასისინება-წაქეზებით, ჩვენ, გვსურს თუ არა, განვაწყობთ მათ ქართველი ერის საწინააღმდეგოდ, რითაც ვკარგავთ საჭიროების შემთხვევაში მათი შეიარაღებული მხარდაჭერის ყოველგვარ შანსს.

მართლაც, კაცმა რომ თქვას, თუ ზოგიერთი მოფაშისტო რუსი ოფიცერი, ფულით გატენილი ქისით მოსყიდული, სჩადის ოფიცრებისათვის შეუფერებელ საქციელს და ეხმარება აფხაზ ექსტრემისტებსა და გადამთიელ ბანდიტებს, რატომ არ შეიძლება საქართველოში განლაგებული რუსი ოფიცრების მეორე ნაწილი, რომელიც განასახიერებს მაღალ მორალურ თვისებებს, გვერდში ამოუდგეს ქართველ ერს სამართლიანი საქმისათვის ბრძოლებში?

მაგრამ ეს შესაძლებელია არა მუქარით, ოკუპანტებად მათი მონათვლით, არამედ მათ მიმართ კეთილმოსურნეობისა და მზრუნველი ყურადღების გამოჩენით.

(დასასრული მე-8 გვ.).

დანიშვნები

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ჯემალ გურული დაინიშნა ჭიათურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ჯემალ აკაკის ძე გურული დაიბადა 1938 წელს ქალაქ ჭიათურაში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მუშაობდა ჭიათურაში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1984-1988 წლებში იყო ჭიათურის ალმასკომის თავმჯდომარე, 1992 წლიდან ჭიათურის კონტროლის პალატის თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით რაფიკ არზუმანიანი დაინიშნა ნინოწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

რაფიკ ტიროსის ძე არზუმანიანი დაიბადა 1948 წელს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ ხოჯაბეკში. დაამთავრა მაგნიტოგორსკის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი, მუშაობდა ჩელიაბინსკის მხარეში ეკონომისტად, ქარხნის დირექტორად. 1986-1991 წლებში იყო ბოგდანოვკის ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორი, 1992 წლის იანვრიდან ნინოწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ჯემალ გოგსაძე დაინიშნა ბაღდათის გამგეობის თავმჯდომარედ.

ჯემალ დავითის ძე გოგსაძე დაიბადა 1940 წელს ბაღდათში. 1975 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომექანიკური ფაკულტეტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით, 1984 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი, მიიღო ეკონომისტის კვალიფიკაცია.

სხვადასხვა დროს მუშაობდა მუშად, ბაღდათის რაიონის „სოფლტექნიკის" ინჟინრად, მთავარ ინჟინრად, მმართველად, მეურნეობის დირექტორად, ბაღდათის რაიონის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სამმართველოს უფროსად.

1992 წლიდან ბაღდათის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. ჰყავს მეუღლე და ვაჟი.

ჯართი იგივე ლითონია

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბატონ თენგიზ სიგუას დეპეშა. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, ნათქვამია მასში, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმო-დაწესებულებებს, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს დაეკისრათ პირადი პასუხისმგებლობა შავი და ფერადი ლითონის დამზადების დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, არ ხორციელდება ამ საქმეზე სათანადო კონტროლი. ვერ იჩენენ მომთხოვნელობას სახელმწიფოსათვის ამ მეტად საჭირო ნედლეულის ჩაბარების უზრუნველსაყოფად, ურეაგირებოდ ტოვებენ დავალების შეუსრულებლობის ფაქტებს. იანვარში რესპუბლიკაში ლითონის დამზადება ჩაიშალა. თებერვლის პირველი დღეებიდანაც დამზადება არადამაკმაყოფილებელია. ამიტომაც ზემოაღნიშნულ პირებს წინადადება ეძლევათ პირადი პასუხისმგებლობით გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი თებერვალში დავალების შესასრულებლად, თებერვლის დავალების შესრულება მოახსენონ მინისტრთა კაბინეტს ხუთ მარტამდე, ხოლო პირველი კვარტლისა — შვიდ აპრილამდე".

ამ ფაქტთან დაკავშირებით თავისი მოსაზრების გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „მეოლითის" გენერალური დირექტორის მოადგილეს არსენ გაგუას.

— ამ ბოლო ხანებში, — გვითხრა მან, — ძალზე არადამაკმაყოფილებლად სრულდება მეორეული შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების შეგროვების სახელმწიფო დავალებები. ბევრი სამინისტრო, უწყება, კონცერნი თუ საწარმო-დაწესებულება, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები სარგებლობენ რესპუბლიკაში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით და მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სახალხო მეურნეობისთვის მეტად საჭირო შავი და ფერადი ლითონების დამზადებისა და ჩაბარების საქმეს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ შარშან 270 ათასი ტონის ნაცვლად 125019 ტონა ჯართი ჩააბარეს, ხოლო 8300 ტონა ფერადი ლითონის ნაცვლად მხოლოდ 805 ტონა.

წლეულს იანვარში კი სრულიად შეწყდა ლითონების დამზადება და ჩაბარება, რის გამოც ძალზე გაუჭირდათ რუსთავის მეტალურგიულ და რესპუბლიკის მანქანათმშენებელ საწარმოებს. ლითონის მოწოდება რესპუბლიკის გარედან ფაქტობრივად შეწყვეტილია და მთელი სიმძიმე საქართველოში დასამზადებელ ლითონზეა გადატანილი. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის მთავრობამ შავი და ფერადი ლითონების ჩაბარების საკითხს განსაკუთრებული კონტროლი დაუწესა და 1992 წლის 14 აპრილის დადგენილებით დაამტკიცა სახელმწიფო შეკვეთა, რომლის აუცილებელი შესრულება ყველა სამინისტროსა თუ უწყებას დაევალა. ახლა რესპუბლიკის თითოეულმა საწარმომ თუ ორგანიზაციამ დროულად უნდა გააფორმოს ხელშეკრულება საწარმოო გაერთიანება „მეოლითთან", მაგრამ ჯერჯერობით ეს საქმე ნელა მიდის, რადგან ბევრი სამინისტრო თუ უწყება ასეთი ხელშეკრულებისგან რატომღაც თავს იკავებს, ეს კი ყოვლად გაუმართლებელია. კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ორგანიზაციებმა შარშან 56640 ტონიდან სახელმწიფოს მხოლოდ 7712 ტონა ლითონი ჩააბარეს. ლითონის ჩაბარების დავალების შესრულებას დააკლეს: პურპროდუქტების კონცერნმა — 841 ტონა, ყოფილმა ადგილობრივ მრეწველობის სამინისტრომ — 3441, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 2191, განათლების სამინისტროში შემავალმა ორგანიზაციებმა — 536, საქსამომქრეწვშენმა — 3496, საქსოფლმშენმა — 4349, საქსაშენმასალებმა — 2152, კონცერნმა ავტოგზამ — 2360, საბინაო კომუნალურმა მეურნეობამ 2007, გაზის სახელმწიფო კონცერნმა — 1059, გეოლოგიისა და გეოდეზიის სამმართველომ — 789 ტონა.

განგაშის ზარი

ჯართის ჩაბარება ვერ უზრუნველყო ქუთაისის ავტოქარხანამ, აქ 17940 ტონიდან მხოლოდ 2303 ტონა ჩაბარდა. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტმა დავალების შესრულებას დააკლო 10745 ტონა, თბილისის ელექტროვაგონმშენებელმა ქარხანამ — 3065 ტონა, თბილგვირაბმშენმა — 981, თბილისის მერიას დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა — 559 ტონა, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის საწარმოო გაერთიანებამ — 4265, თბილისის თუჯსამსხმელო ქარხანამ — 1913 ტონა.

როდესაც შავი და ფერადი ლითონების დამზადება-ჩაბარებაზე რესპუბლიკის მთავრობამ პირადი პასუხისმგებლობა ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელობას დააკისრა, ვიმედოვნებდით, რომ ამის შემდეგ მაინც გაუმჯობესდებოდა ლითონის დამზადება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ლითონის ჩაბარებას აჭარის რესპუბლიკამ 1992 წელს დააკლო 7641 ტონა, თბილისმა 29211 ტონა. აქედან: ნაძალადევის რაიონმა — 7524, კრწანისის რაიონმა 2780, ისნის რაიონმა — 3711, სამგორის რაიონმა — 6687, გლდანის რაიონმა — 4105, საბურთალოს რაიონმა 1630 ტონა ლითონი.

გარდა ამისა, მუშაობას თავი ვერ გაართვეს ჭიათურაში, ზუგდიდში, გორში, ფოთში, წყალტუბოში, ახმეტაში, ზესტაფონში, თელავში, კასპში, ლაგოდეხში, მარნეულში, მცხეთაში, ოზურგეთში, სამტრედიაში, სენაკში, სიღნაღში, ქარელში, ყვარელში, წალენჯიხაში; ხობში.

1993 წლის იანვარში ჯართის დამზადება რესპუბლიკაში თითქმის შეწყდა, ხოლო თებერვალშიც მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

საქმის წარმატების შემაფერხებელი ფაქტორია ისიც, რომ ბევრ საწარმოსა თუ დაწესებულებებს, ფირმებს ლითონები გააქვთ საზღვარგარეთ. საქართველოს მთავრობამ 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით რესპუბლიკის ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი დროებით 31 დეკემბრამდე შეაჩერა. უკეთესი იქნება, საერთოდ აიკრძალოს ლითონის გაზიდვა რესპუბლიკის საზღვრებს გარეთ. საჭიროა და მიზანშეწონილია, რომ მასზე სახელმწიფო მონოპოლია გამოცხადდეს, მით უმეტეს, რომ არც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში არ ხდება ძვირფასი ნედლეულის მეორეული შავი და ფერადი ლითონების უცხოეთში რეალიზაცია. ჯართის ჩამბარებლები დღეს გარკვეულწილად ახალი შესასყიდი ფასებითაც უნდა წახალისდნენ. ახლა საბოვე ფოლადის 1-ა მარკის ტონის ღირებულება — 3556 მანეთია, 2-ა მარკის ფოლადისა ელექტროღუმელისათვის 3240 მანეთი, მარტენის ფოლადისა 3-ა 2832 მანეთი, არაგაბარიტული ფოლადის ლითონისა 5-ა 2140 მანეთი, დასაწნეხი თუჯისა 12-ა 1304 მანეთი, ფოლადის ბურბუშელასი 16ა 660 მანეთი, არაგაბარიტული თუჯისა 20-ა 3000 მანეთი, 21-ა 2856 მანეთი, 22-ა 2172 მანეთი. ლეგირებული არაგაბარიტული ფოლადისა 8ა — 4880 მანეთი, დაუშლელი, შერეული ლითონის ჩაბარებისა 4-დ — 964 მანეთი.

სხვა გზა არ არის, ჯართის ჩაბარების მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში რესპუბლიკის მრეწველობას დიდად დავაზარალებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ არსიანიძე

ჩახედეთ ლომს მშიერ თვალებში

პოლიტიკურ ეკონომიაზე გაზრდილი ჩვენი პოლიტიკოსები ყველა საგანს, მათ შორის ეკონომიკასაც, კვლავ „პოლიტეკონომიურად" უყურებენ. თვითმიზნური რადიკალიზმის სიბრმავე და სიყრუე ბევრს არ აძლევს საქართველოს დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რეალურად აღქმის საშუალებას. ჩვენი ქვეყნის ალბანიზაციის მცდელობა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს დაიწყო, გარკვეული გავლენიანი პოლიტიკური თუ მაფიოზური წრეების „ძალისხმევით" დღეს გადამწყვეტ ფაზაში შედის. მესმის, პოლიტიკოსის პური, — პოლიტიკური ბრძოლა, პოლიტიკური კამათია... დაე, მათ მოიპოვონ თავისი წილი პური, მაგრამ ხელი არ შეუშალონ იმათ, ვისაც ქვეყნის დაპურება ევალება. დროა, უკვე დროა, გვერდზე გადავდოთ თეორიული ტრაქტატებით, ცარიელი სიტყვებით სავსე სალაქლაქოები, დავივიწყოთ პირადი, თუ საზოგადოებრივი ამბიციები და პრაქტიკულ საქმეს, აფხაზეთის ომის რაც შეიძლება სწრაფად დამთავრებას, ეკონომიკის ფეხზე დაყენებას მივხედოთ. დამოუკიდებელი საქართველო არავის აღარ აპატიებს ახალი ექსტრემიზმის აღორძინებას.

ერთ დროს, ძლიერი, შეძლებული საწარმო იყო თბილისის საწარმოო-გაერთიანება „ელექტროაპარატის" ქარხანა „ელექტროავტომატი". აქ დამზადებული ელექტროავტომატები, ურომლებოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე ელექტრომოწყობილობა, მანქანა-დანადგარები, ძრავები, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა და აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს სოციალისტურ ქვეყნებში იგზავნებოდა. თვით პაკისტანი და ინდოეთიც სიამოვნებით ყიდულობდნენ ქარხნის პროდუქციას. ექსპორტის საერთო მოცულობა 7 პროცენტი იყო. საწარმოში 1700 კაცი მუშაობდა, რომელთა უმრავლესობა ქარხნის სახსრებით ახლომახლო აშენებულ სახლებში ცხოვრობდა. დუღდა ცხოვრება, შრომა უხაროდა მუშაკებს, ქარხანას მართლაც თავის მეორე ოჯახად თვლიდა.

2,5 მილიონი ცალი სიმძლავრის ქარხანამ 1989 წელს 2,220 მილიონი ცალი ავტომატი გამოუშვა. მოხდა ტექნიკური გადაიარაღება, რაც 3-4 მილიონი მანეთი დაჯდა, დაიწყო ახალი საამქროების მშენებლობა. ამ ტექნიკური და სამშენებლო ოპერაციების შემდეგ, 1991 წლისათვის ქარხნის სიმძლავრე 300-400 მილიონი ავტომატის გამოშვებამდე უნდა გაზრდილიყო. მაგრამ გამოხდა ხანი, აირია ცხოვრება, ნაცადი ეკონომიკური ურთიერთობები, ყოფილი კავშირი რესპუბლიკებთან გაწყდა, გამეფდა ანარქია, განუკითხაობა და, როგორც ელექტროავტომატის დირექტორი, ბატონი თამაზ ბოლქვაძე ამბობს, ყველაფერი გაიყინა.

რა მდგომარეობაა ამჟამად ქარხანაში?

— ნედლეულის 95 პროცენტზე მეტს რუსეთიდან და უკრაინიდან ვიღებდით. პლასტმასა, თითბერი, სპილენძი, ვერცხლი ადვილი საშოვნელია?

თუმცა, ბევრ ძველ პარტნიორთან ისევ კარგი ურთიერთობა გვაქვს. ამ ურთიერთობების წყალობაა, თუ დღეს ვმუშაობთ. ჩვენთან თანამშრომლობის მსურველები ბევრნი არიან. ერთი მათგანია არტემიოვსკის (უკრაინა) ფერადი ლითონების ქარხანა. საქართველოსთან ურთიერთობა გვირჩევნიაო, ამბობენ, მაგრამ მანამდე ჩვენს რესპუბლიკებს შორის, სახელმწიფოებრივ დონეზე ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს. მოგეხსენებათ, ჩვენს შორის ჯერ საბანკო სივრცეც არ არის გახსნილი. ფული თუ არ გადაურიცხე, ვინ მოგცემს პროდუქციას? — ისე დრო წავიდა... ასეთი მდგომარეობაა რუსეთის ქარხნებთან ურთიერთობაშიც.

საქვეყნო ფიქრი

ასეთ მძიმე ვითარებაში ქარხანა მესამედი დატვირთვით მუშაობს და შარშან 520 ათასი ავტომატის გამოშვება ძლივს მოახერხა. ექსპორტი თითქმის მოიშალა, მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა 700 კაცამდე შემცირდა, თუმცა, ეს ნებაყოფლობითი შემცირება იყო და არა ძალდატანებითი... ვისაც დაბალი კვალიფიკაცია ჰქონდა, ან ანაზღაურება არ აკმაყოფილებდა — წავიდა, სხვაგან მოეწყო სამუშაოზე ან „ქუჩის ბიზნესს" მოეკიდა.

დირექტორის თქმით, ქარხანაში 5-6 თვის სამყოფი ნედლეულიღა დარჩა. მუშაობენ არასრულ სამუშაო კვირას, უტრანსპორტობის მიზეზით სამუშაო დღესაც ადრე ამთავრებენ. ამიტომ, არის, რომ დღეში 200 ავტომატსღა ამზადებენ. შეუძლიათ მეტი დაამზადონ — 600-700... ელექტროენერგია, გაზი სამყოფად აქვთ, მაგრამ მუშახელი უმუშევრად, უხელფასოდ დარჩებათ?

— სჯობს ნელი ტემპით იმუშაონ, კაცს პურის ფული გაუჩინონ, კოლექტივიც არ გაებნეთ და კვალიფიციური მუშაც შეინარჩუნონ. თუმცა მომავალი კვირიდან რამდენიმე დღით ქარხანა, ეტყობა, მაინც გაჩერდება, მიზეზი — პლასტმასის ნედლეულის უქონლობაა. ახლა „ქიმეროვოსთან" ბარტერზე წავიდნენ. ვნახოთ, რა იქნება!

შეწუხებული არიან ქარხნის მუშა-მოსამსახურეები. გალვანური დაფარვის ოსტატი ოთარ კეთილაძე 20 წელია მუშაობს ამ საწარმოში. აქ „დაიბადა", აქ დაბერდა. — ადრე სამ ცვლად ვმუშაობდით, ახლა? — თავს აქნევს სინანულით. ოჯახში სამი სული არიან. ჯერ დეკემბრის ხელფასიც არ მიუღიათ. ქარხნის პროდუქციაზე დღესაც დიდი მოთხოვნილებაა, „არ იციან, მოგება სად წაიღონ", მაგრამ ბანკიდან ფული ვერ გამოუტანიათ. 5 ათასი მანეთი — ესაა მისი თვიური ანაზღაურება. ცოტაა, აბა, რა არის?! — კი, ბატონო, ვიყოთ თავისუფლები, ნუ ვიქნებით მონები, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არ ვიმუშაოთ, პროდუქცია არ შევქმნათ, უკრაინა, რუსეთი... კარგი არიან, თუ ცუდი — გვჭირდებიან, ვჭირდებით, ასეა ეს, ბატონო. ასე გადაეცი იმ შენს „მთავრობის კაცებს", — მეუბნება.

— გადავცემ, ბაბუ, გადავცემ, მაგრამ...

ასეთი გადაწყვეტილებაა ქალთა საზოგადოებაშიც! — ელენე კვარიათაშვილი, რუსუდან კომახიძე, ეთერ ჭიშკარიანი, ციური მოლიაშვილი, ნუნუ ნინაშვილი... რა ეპოლიტიკებათ, ბატონო!... მოიხსნან შავი სათვალე, გადმოვიდნენ ავტომობილებიდან, მოვიდნენ ჩვენთან, გაერიონ ხალხში. ნახონ, ერთი, რა დღეში ვართ...

— უი, ქა, რას ამბობ?!

— რას ვამბობ, და იმას, მაგენი ერთი-ორი დღე ჩვენს დღეში უნდა ამყოფო, — მერე მიხვდებიან, მღვდელი სჯობია თუ მღვდლის ცოლი...

— ქარხანა რომ დაიხუროს, ან სამუშაო დაკარგოთ, გაქვთ სხვა პროფესია?

ერთხმად — არა. დავიღუპებით.

• • •

გულუბრყვილობა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ რუსეთი ჩვენი კეთილმოსურნეა. და მასთან ურთიერთობაში სიფრთხილე აღარ გვჭირდება, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ საქართველოსათვის მტერს არ გაუკეთებია იმდენი სიავე, რამდენიც მან საკუთარ თავს გაუკეთა.

აბა, ვინ უნდა დაარწმუნო იმაში, რომ პატარა „გულისმოდენა" საქართველომ ეკონომიკურ ბლოკადაში მოაქცია რუსეთი. ეს ხომ სიბეცეა, უბრალო გონებაჩლუნგობა და საკუთარი თავის დაღუპვა. აკი, დაღუპვას არაფერი გვაკლია კიდეც. საუბედუროდ, გვიან ვრწმუნდებით, რომ „ხალხს კუჭიც აქვს", მაგრამ დავრწმუნდებით თუ არა, მაშინვე გვავიწყდება ხოლმე. რას იზამ? ნათქვამია, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო.

„თავისუფლება ლომთა ხვედრიაო"...

„ჩვენს ხალხს პურსა და კარაქს თავისუფლება ურჩევნიაო"...

მოდით, გაბედეთ და ჩახედეთ მშიერ ლომს მშიერ თვალებში და ყველა კითხვაზე მიიღებთ პასუხს, ბატონებო!

ხალხის აზრი

სახელდახელო ინტერვიუ თბილისის ქუჩებში

⊙ რა აზრისა ხართ ხელისუფლებაზე?

⊙ როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოაგვაროს მან უპირველეს ყოვლისა?

ლევან ბაგუნია, ინჟინერი:

— ვფიქრობ, მცირე გამონაკლისის გარდა, დღევანდელ ხელისუფლებაში პატიოსანი და საქმის მცოდნე ხალხია.

— არ ვიცი, რა უნდა გააკეთოს უპირველეს ყოვლისა — გარეშე მტერს ებრძოლოს, მაფიას თუ ათასგვარ შეიარაღებულ ბანდას. ყველა ასალაგმავია. შესწევს კი რომელიმე ხელისუფლებას ამის ძალა?

ნინო გურგენიძე, ფილოლოგი:

— დღეს საქართველოს ისეთი ძლიერი და სახელოვანი პიროვნება მეთაურობს, რომ უკეთესის წარმოდგენა პირადად ჩემთვის შეუძლებელია. ვინც მას ებრძვის, ის საქართველოს მომავალს ებრძვის.

— უპირველესად აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხები უნდა მოგვარდეს.

ჟუჟუნა, მედეა, ციალა (გვარს და პროფესიას არ ასახელებენ):

— საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება არ მომწონს; ვერ ვიტან; რა მოსაწონია ხუნტა?

— წავიდნენ; ზვიადი დააბრუნონ და თვითონ გადადგნენ; გამოყარონ პარლამენტიდან ის დეპუტატები, გამსახურდიას რომ უღალატეს.

ქეთევან კიკნაძე, პენსიონერი, პედაგოგი:

— რით ჯობია წინა ხელისუფლებას?

— ხალხს მიხედოს, ჩააცვას, აჭამოს, გაათბოს, ტრანსპორტი აამოძრაოს, აფთიაქებში წამლები გააიაფოს, ომი დროზე დაამთავროს.

გურამ იოსელიანი, მეცნიერ-მუშაკი:

— ყოველ შემთხვევაში უფრო კომპეტენტური და საქმიანი ხელისუფლება, რაც თავი მახსოვს, საქართველოს ჯერ არ ჰყოლია. დარწმუნებული ვარ, ეს ხელისუფლება სწორი გზით წაიყვანს საქართველოს, მაგრამ ვშიშობ, მისი დეკლარირებული დემოკრატია ანარქიაში გადადის. ჩანს, ჩვენ ჯერ არ ვართ მზად დემოკრატიისთვის, იმედი არ მაქვს, რომ ჩვენში ახლა რომელიმე ხელისუფლებამ გაძლოს: სულ მუდამ იქნება ისეთი ხალხი, ვისაც მხოლოდ სუფრის თავში ჯდომა სურს და მეორეხარისხოვან როლს ვერ სჯერდება. თავის საქმეში ხელმოცარულები, ეგრეთწოდებული პოლიტიკოსები, მუდამ მზად იქნებიან „ააგორონ" გამოსვლების, მანიფესტაციების ტალღა.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა განაიარაღოს უკანონო ფორმირებები, იარაღი ამოიღოს მოსახლეობისაგან და აფხაზეთში მებრძოლებს გაუნაწილოს.

მაია შენგელია, სტუდენტი:

— მე მგონი, კარგი ხელისუფლება გვყავს. თუმცა პარლამენტის სხდომების ყურება ძალიან ხშირად მაღიზიანებს.

— არ ვიცი, პირველი რიგის ამოცანა რომელია. ყველა მოსაგვარებელია — საშინაოც და საგარეოც.

ხანდრო კეკელიძე, მუშა:

— ხელისუფლებას უჭირს ქვეყნის მართვა. უნდა შეეშვას დემოკრატობანას თამაშს. საქართველოს ახლა რკინის ხელი სჭირდება, რომ წესრიგი დამყარდეს, გონებაარეულმა ქართველებმა საკუთარ სამშობლოში ხიდები და რკინიგზა აღარ ააფეთქონ, მინდორში გასულ მშრომელ კაცს თოფი არ ესროლონ; რომელ ქვეყანაში გამოდის ასეთი გაზეთები, ჩვენში რომ იბეჭდება და უბრალო ხალხს თავგზას ურევს, ბოლოს, შხამს ანთხევს, ტერორისტებს და დივერსანტებს ხელს აფარებს, ქართველ კაცს ქართველს ამტერებს, საკუთარ მთავრობას ლანძღავს და იქვე წერს, პრესის თავისუფლება არ არისო. თუ ხელისუფლებას ამ მოღალატე ხალხის ჭკუაზე მოყვანა არ შეუძლია და ქვეყანას ანგრევინებს, მაშინ ის უნდა გადადგეს.

გივი კალანდაძე, ინჟინერი:

— გუშინ შევარდნაძემ რადიოინტერვიუში თქვა: აფხაზეთში ომის მოგებას ჩემი გადადგომა რომ დასჭირდეს, მაშინვე გადავდგებიო. ეს რომ მოვისმინე, ღამე ველარ დავიძინე. ვთქვათ, მართლაც გადადგა ეს კაცი, მერე რა მოხდება? ალბათ, სომალის დავემსგავსებით: შეიარაღებული ფორმირებები დაიყოფენ საქართველოს ტერიტორიას და ისინი იბატონებენ ჩვენზე. ტყუილად ბუქნაობენ ექსპრეზიდენტის მომხრეები, დაგვიბრუნდება ჩვენი კერპიო. გამსახურდიას აქ არავინ ჩამოუშვებს — მისი გულისთვის კი არ არყევენ ხელისუფლების ტახტს.

— ხელისუფლებამ შინ უნდა დაამყაროს წესრიგი. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს გარეშე მტრის მორევას.

გოგი კაპანაძე, ეკონომისტი:

— ხელისუფლებაში ყოფნას (ყოველ შემთხვევაში — ახლა) არ ვინატრებდი.

— უნდა დააჩქაროს ეკონომიკური რეფორმები, რომ რაც შეიძლება მალე გადავიდეთ ნამდვილ საბაზრო ეკონომიკაზე.

შალვა ფეიქრიშვილი, მშენებელი:

— ერთი ჩემი ნამეზობლარი, სომეხი კაცი, ერევნიდან ჩამოვიდა რამდენიმე დღით. მიამბო, სომხებს ძალიან რომ გაუჭირდათ, ლიცეელებმა წერილი მისწერეს საფრანგეთში მოღვაწე შარლ აზნავურს: ჩამოდი, ჩვენი პრეზიდენტი იყავიო. მართალია, აზნავურს პოლიტიკასთან არაფერი ესაქმებოდა, მაგრამ მისი ავტორიტეტის იმედი ჰქონდათ. თქვენ მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსი გყავთ და ის ვერ შეგიღირსებიათ. პარლამენტის სხდომას რომ ვუყურე ტელევიზიით, ლამის გავგიჟდი. არ გეწყინოს, მაგრამ სიმართლე უნდა გითხრა: შევარდნაძე რომ ჩვენებური იყოს, გინდაც მკვდარი, ჩვენ მისი სახელით უფრო მეტს გავაკეთებდით, ვიდრე თქვენ მას — ცოცხალს აკეთებინებთო.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის სოციოლოგიური კვლევის ჯგუფი.

ყურადღება!

ფირმა „გია-გოჩა" გაძლევთ უნიკალურ შანსს შეამციროთ თქვენი ხარჯები.

თუ გაქვთ ნაღდი ფული და გსურთ:
— შეიძინოთ საქონელი ან ფასიანი ქაღალდი.
— გადაიხადოთ სწავლის ქირა ან სხვა საფასური, რაც შესაძლებელია გადარიცხვითაც.

ნუ იჩქარებთ!

დაუკავშირდით ფირმა „გია-გოჩა"-ს და თქვენი ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდება.
მოვემსახურებით მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ პირებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
ტელ.: 51.17-28.

ცვლილებები - ლტოლვილთა დახმარების ჩამონათვალში

ლტოლვილთა დახმარების ჩამონათვალი ძირითადად განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 3 ნოემბრის № 1082 დადგენილებით: „საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ". ეს დადგენილება შეიცვალა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიმდინარე წლის 4 თებერვლის განკარგულებით „საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან და მისი ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაცემისა და შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ", რომელმაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა ადრე არსებულ ჩამონათვალში.

1992 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით 0-დან 1,5 წლამდე ასაკის ბავშვებზე გაიცემოდა მინიმალური ხელფასის 60 პროცენტი, 1,5-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებზე — მინიმალური ხელფასის 50 პროცენტი, ხოლო 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვზე — 340 მანეთი. 16 წლის ასაკიდან შრომისუნარიან დროებით უმუშევარ მოსახლეობაზე გაიცემოდა დახმარება 1 500 მანეთის ოდენობით, ხოლო პენსიონერებზე — პენსია.

1992 წ. ნოემბერ-დეკემბერში ზოგიერთმა ბანკმა თუ პიროვნებამ დახმარებები შეცდომით გასცა პენსიონერებზეც, რასაც დადგენილება არ ითვალისწინებდა.

საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის დაარსების შემდეგ ადრე არსებული 1 500 მანეთის ოდენობის დახმარება შეიცვალა მინიმალური ხელფასით (1 700 მანეთი), ე. ი. 1993 წლის 1 იანვრიდან 1 500 მანეთის ნაცვლად გაიცემა 1 700 მანეთი, ხოლო ვინც სახელმწიფო კმაყოფაზეა (უფასო ბინა და კვება), მიიღებს ამ თანხის მესამედს.

განვმარტავთ

1 მარტიდან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 4 თებერვლის განკარგულებიდან გამომდინარე 16 წლამდე ასაკის ყველა ბავშვზე გაიცემა თანხა მინიმალური ხელფასის ოდენობით (1700 მანეთი), ხოლო პენსიონერებს გარდა პენსიისა, მიეცემათ მინიმალური ხელფასის 20 პროცენტი (340 მანეთი).

1 მარტიდან ზემოთ აღნიშნული დახმარებები, მათ შორის პენსიონერებზე მინიმალური ხელფასის 20 პროცენტიც, გაიცემა კომიტეტის მიერ შესაბამისი რაიონების ბანკებში, ხოლო პენსიები — სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებში.

• • •

შენიშვნა: 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებზე ნოემბერ-დეკემბრის თანხა 340 მანეთი გაიცემა ბანკებში კომიტეტის ფონდიდან, ხოლო იანვარ-თებერვლისა — სოცუზრუნველყოფის განყოფილებებში.

ამასთანავე გვინდა ვთხოვოთ სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებს (კომერციული ფირმების, ასოციაციების, კოოპერატივების და ა. შ.), ორგანიზებულად ჩასახლებულ ადგილებში შტაბების ხელმძღვანელებს, რომ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან შეთანხმების გარეშე ნუ აწარმოებენ საქველმოქმედო დახმარებათა გაცემას, რადგან ხშირად ეს დახმარებები არათანაბრად ნაწილდება, რაც ლტოლვილთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი

ამ ტრიალ ქვეყანაზე

კონფერენცია ატლანტაში

მსოფლიოში რეგიონული კონფლიქტები, მათი შეკავებისა და თავიდან აცილების გზები ატლანტაში ოთხშაბათს გახსნილი საერთაშორისო კონფერენციის ყურადღების ცენტრშია. იგი მიმდინარეობს ემორის უნივერსიტეტის ცნობილ კარტერის ცენტრში, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ მათი ყოფილი ხელმძღვანელები, ოფიციალური პირები, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დარგის წამყვანი ექსპერტები, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, აგრეთვე აკადემიური წრეების წარმომადგენლები. საერთო ანგარიშით ამ წარმომადგენლობითი ფორუმის მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილი გენერალური მდივნის ხავიერ პერეს დე კუელიარის თავმჯდომარეობით, მონაწილეობს 200-ზე მეტი ექსპერტი. სამი დღის მანძილზე ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ აზრს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა „ცხელ წერტილში", მათ შორის მთიან ყარაბაღსა და კავკასიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგების პრობლემებზე. შეიმუშავებენ და წარმოადგენენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც, კონფერენციის მონაწილეთა აზრით, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ამჟამად მძვინვარე სამოქალაქო ომების შესაწყვეტად საერთაშორისო გაერთიანების ძალისხმევაში.

„ის როლი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა საშუამავლო ჯგუფებს შეუძლიათ შეასრულონ კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაში, დღეს სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, — განაცხადა კონფერენციის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ჯ. კარტერმა. — ამ შეხვედრის დროს იმედი გვაქვს მოვამზადოთ კონკრეტული გეგმები კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ". მისი აზრით, არასამთავრობო დონეზე განხორციელებულ ღონისძიებათა მნიშვნელობა ის არის, რომ მათი საშუალებით შეიძლება მოვაწყოთ შეხვედრები მოქიშპე მხარეებს შორის, გამოვიდეთ შუამავალთა როლში საზავო მოლაპარაკებაზე, თვალყური ვადევნოთ დემოკრატიული არჩევნების მიმდინარეობას, აგრეთვე — რაც ზოგჯერ უაღრესად საჭიროა — განვახორციელოთ „წყნარი დიპლომატია" ეროვნებათშორისი მოწესრიგების საკითხში.

ასეთი მუშაობა საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ვაკუუმი, რომელიც არსებობს ოფიციალურ სამშვიდობო საქმიანობაში იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებანი ზოგჯერ საშუალებას არ აძლევს მათ იმოქმედონ ეროვნული საზღვრების შიგნით.

ატლანტის კონფერენცია უკვე მეორე ამგვარი ფორუმია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიოში „ცხელი წერტილების" „გაცივებას". აქვე ერთი წლის წინათ გამართული პირველი შეხვედრა მიეძღვნა კონფლიქტებს აზიის რეგიონსა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

ბილ კლინტონის განცხადება

ეკონომიკის სფეროში შეერთებული შტატების აღორძინება დამოკიდებულია ეკონომიკურ პროგრესზე კალიფორნიის შტატში — ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს შტატში, სადაც ამ ორ წელიწად-ნახევარში დაიკარგა მეტი სამუშაო ადგილი, ვიდრე ამერიკის ნებისმიერ სხვა შტატში. ეს განაცხადა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა სატელევიზიო მიმართვაში სამშაბათს უმაღლესი დონის ეკონომიკური შეხვედრის მონაწილეებისადმი, რომელიც მიმდინარეობს, როგორც აქ ხშირად უწოდებენ კალიფორნიას, ამერიკის ამ „ოქროს შტატში".

„ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღება არ მოხდება, სანამ არ გაჯანსაღდება კალიფორნიის ეკონომიკა", — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა. 1990 წლის შუახანებიდან — გაჭიანურებული ეკონომიკური დაქვეითების დაწყებიდან — კალიფორნიამ დაკარგა 900 ათასი სამუშაო ადგილი — ეს რეკორდული ციფრია ამერიკის ერთად აღებული ყველა შტატისათვის.

კლინტონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება შეასრულებს „ძირითად როლს კალიფორნიის ეკონომიკის აღორძინებაში". იგი მიზნად ისახავს ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადასა და მექსიკას შორის კავშირურთიერთობაში სავაჭრო ბარიერების ლიკვიდაციას.

საეპისკოპოსო კონფერენციის ახალი თავმჯდომარე

სარაგოსის ეპისკოპოსი ელიას იანესი სამშაბათს აირჩიეს ესპანეთის საეპისკოპოსო კონფერენციის თავმჯდომარედ ანხელ სუკიას ნაცვლად, რომელიც ტოვებს ამ უმაღლეს სასულიერო პოსტს. კონფერენციის მონაწილე 77 ეპისკოპოსიდან იანესის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 45 კაცმა. კონფერენციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია გრანადის ეპისკოპოსი ფერნანდო სებასტიანი.

ესპანეთის მეფემ ხუან კარლოს პირველმა და დედოფალმა სოფიომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ახლად არჩეულ ესპანეთის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს.

ლომებმა ზოოპარკის მოსამსახურე დაგლიჯეს

ეგვიპტის დედაქალაქის ზოოპარკის მოსამსახურე სამშაბათს ორი გამძვინვარებული ძუ და ხვადი ლომის მსხვერპლი გახდა, იუწყება კაიროდან ფრანს პრესის სააგენტო. ვოლიერების 55 წლის დამლაგებელმა, რომლის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე ცხოველთა კვება, ხორცი მიიტანა გალიაში, სადაც „ეს ოჯახური წყვილი" ცხოვრობდა. და მას მოულოდნელად შეუტიეს ძუმ და ხვადმა. ზოოპარკის სამსახურის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ მოეკლათ ცხოველები, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსამსახურე ვერ გადაარჩინეს — იგი ჭრილობებით გარდაიცვალა.

თითო აბზაცით

⊙ კუბის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ორშაბათს დაამთავრეს დიდი მასშტაბის წვრთნა „იაგუარი-93". საბოლოო ეტაპზე სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებმა გაუშვეს რაკეტები.

⊙ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის მმართველთა საბჭომ ოთხშაბათს გამართულ სპეციალურ სხდომაზე დაადგინა ტაჯიკეთს მიენიჭოს დახმარების მიმღები ქვეყნის სტატუსი.

⊙ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰელმუტ კოლი დღეს ორი კვირით მიემგზავრება აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. პირველად გზად შეჩერდება ინდოეთში, შემდეგ გერმანიის მთავრობის მეთაური ეწვევა სინგაპურს, ინდონეზიას, იაპონიასა და სამხრეთ კორეას.

⊙ აზიის ქვეყნების პარლამენტართა მორიგი მეცხრე კონფერენცია. მოსახლეობისა და განვითარების საკითხებზე გაიმართება მიმდინარე წლის 25-26 თებერვალს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

⊙ როგორც ვიცით, იანვარში ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაიქცა ბევრი პატიმარი. მათ შორის მრავალი საშიში დამნაშავე. საინტერესოა, რამდენი დააკავეს, ახლა რამდენი ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა რომ ხდება, ალბათ, მათაც მიუძღვით წვლილი.

კოტე წიკლაური,
გურჯაანი.

პასუხისათვის დავუკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროსს ვალიკო გოგოლაშვილს. მან გვაცნობა, რომ წლეულს, 13 იანვარს ქსნის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაიქცა 153 მსჯავრდადებული. მათგან უკვე დაკავებულია 30 მსჯავრდადებული, 9 — თავისი ნებით დაბრუნდა. მიმდინარეობს ოპერატიული სამძებრო ღონისძიება დანარჩენების დასაკავებლად.

⊙ ვარ რვა შვილის დედა. 1959 წლიდან ვმუშაობ რკინა-ბეტონის ნაკეთობათა № 2 ქარხანაში კოშკურა ამწის მემანქანედ. ჩემი უფროსი შვილი ცხრამეტი წლისაა, გვარდიაში მსახურობს. უმცროსი — რვა წლისაა. მყავს ავადმყოფი მეუღლე. შარშან, როგორც მრავალშვილიანი დედა, პენსიაში გავედი, მაგრამ ვინაიდან ძალიან გვიჭირს, ისევ უნდა ვიმუშაო.

გთხოვთ, მიპასუხოთ: მუშაობის შემთხვევაში თუ მივიღებ კუთვნილ პენსიას სრულად?

მარვარა გოგოლაძე-ბალმახელიძე,
თბილისი.

გვიპასუხებს სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს სამმართველოს უფროსი ირინე ღლონტი: — მუშაობის პერიოდში ის პენსია, რომელიც არამომუშავე პენსიონერებს ეკუთვნით, მიუხედავად იმისა, რომ მრავალშვილიანი დედა ბრძანდებით, მოქმედი კანონის თანახმად, სრულად ვერ მოგეცემათ. ხელფასთან ერთად, სრულად მიიღებთ ხელფასიდან გამოანგარიშებულ ძირითად პენსიას გაორმაგებული ოდენობით, ყოველგვარი დანამატებისა და კომპენსაციის გარეშე.

ისტორიასთან ხუმრობა საშიშია

(დასასრული)

ურიგო არ იქნება მოვიგონოთ დიდი შოთას სიტყვები: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი".

აი, რატომ არის, ჩვენი აზრით, საჭირო, რომ გამოვიჩინოთ საქართველოში გარკვეულ დრომდე მყოფი რუსეთის სამხედრო ნაწილების, (გარდა აფხაზეთში განლაგებული ნაწილებისა) მიმართ პატივისცემა, მხარდაჭერა და მზრუნველი დამოკიდებულება. ამას მოითხოვს ქართველი ერის ინტერესები.

როდესაც ჩვენ რუსეთთან და საქართველოში განლაგებულ მის არმიასთან დამოკიდებულების საკითხებზე ვმსჯელობთ და ვიმუქრებით კიდეც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში დღეს მეტად რთული, მეტად ძნელი, მეტად დახლართული ვითარებაა. ვფიქრობ, არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ დღეს საქართველოს ბედი ბეწვზე ჰკიდია.

მას ემუქრებიან არა მარტო აფხაზი და ოსი ექსტრემისტები თავიანთი დაქირავებული გადამთიელებით. მას ემუქრებიან რუსეთის რეაქციული ძალებიც, რომლებიც თავიანთი შოვინისტური, უფრო ზუსტად, ფაშისტური საქმეებით, არასამართლიან საქმეში აფხაზი და ოსი ექსტრემისტებისადმი მხარდაჭერით, დამატებით საფრთხეს უქმნიან ქართველ ერს.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. არსებობს კიდევ უფრო საშიში ძალა, რომელიც ძლიერ აფერხებს ქართველი ერის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს. ესაა მეხუთე კოლონა, რომლის ძირითადი ბირთვია ადამიანები, უფრო კონკრეტულად, ქართველები, რომლებიც თავიანთი ანტიეროვნული საქმეებით ძირს უთხრიან გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ერის ერთიანობას. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც აფეთქებენ რკინიგზის ხიდებს, მწყობრიდან გამოჰყავთ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემები, აზიანებენ რკინიგზის ლიანდაგებს, ძარცვავენ მატარებლებს, რაიონების და მოსახლეობისათვის განკუთვნილი სურსათით დატვირთულ მანქანებს, აფეთქებენ ფაბრიკებსა და ქარხნებს, იტაცებენ კერძო და სახელმწიფო მანქანებს, აწიოკებენ ოჯახებს და ა. შ. ერთი სიტყვით, ასეთი ადამიანებისაგან საქართველოს მთელი რიგი რეგიონების მოსახლეობა თითქმის ტერორიზებულია.

გულდასაწყვეტია, მაგრამ ეს ფაქტია.

ნუ უგულებელვყოფთ იმასაც, რომ საქართველოს მდგომარეობას არანაკლებ ართულებს და ამძიმებს ბიუროკრატების, დიდკაცების, თვალის ამხვევების, წამგლეჯების, მექრთამეების, სპეკულანტების, ენადაუყენებელი მოლაყბეების, მოხალტურეების, გამომძალველების, ამპარტავნების, უსაქმურების და სხვა მსგავსთა მომრავლება რესპუბლიკაში. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარ მანკიერებათა მატარებელი ადამიანები ნებით თუ უნებლიეთ აძლიერებენ მეხუთე კოლონის პოზიციებს და მაშასადამე, აფერხებენ ცეცხლის ხაზზე ერის დიდებისათვის მებრძოლ ვაჟკაცთა წარმატებებს. აქვე მინდა აღვნიშნო ის სამწუხარო ფაქტიც, რომ ჩვენი სახელოვანი მებრძოლების მისამართით, რომელთაც ქარში, წვიმაში, თოვლში, ყინვაში უხდებათ სისხლისმღვრელ ბრძოლებში მონაწილეობა, ზოგჯერ პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან (სხვათა შორის, საბრძოლო ოპერაციის ზონისაგან განსხვავებით, აქ, ამ დარბაზში 22-23 გრადუსი სითბოა) ზოგიერთი დეპუტატის მხრივ გაისმის სიტყვები, რომელთა განმეორებაც ჩემი მხრივ დანაშაული იქნებოდა. ჩვენი მებრძოლების აუგად მოხსენიებით, მათთვის სხვადასხვა სიგლახის მიწერით, არა მარტო მათ, არამედ მათ დედებსა და მამებს, დებსა და ძმებს, მეუღლეებსა და შვილებსაც ვაყენებთ შეურაცხყოფას. ამიტომ მეტი სიფრთხილეა საჭირო ტერმინების ხმარებაში. არაა გამორიცხული, რომ საბედისწერო შედეგები მოჰყვეს ტერმინების არასწორ გამოყენებას.

ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობას ართულებს პრესტიჟული სავარძლის დაკავებისათვის გაძლიერებული ბრძოლა, რომელიც დღესაც გრძელდება პირვანდელი ძალით. გრძელდება იგი არა კონსპირაციულად, არამედ აშკარად, ყველას თვალწინ, ამასთან საკმაოდ ბინძური ხერხების გამოყენებით.

ჯერ კიდევ ერთმანეთთან დაუკავშირებელი ჯანსაღი ეროვნული ძალების დარაზმვის, ამოქმედებისა და ერის სამსახურში მათი ჩაბმის საქმეს უდავოდ აფერხებს და აძნელებს საქართველოს ათეულობით სხვადასხვა პარტიას შორის ლიდერობისათვის, თავიანთ მხარეზე მასების გადაყვანისათვის გაჩაღებული საკმაოდ მძაფრი ბრძოლა. სწორედ ამის გამო არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა პარლამენტის სესიების სხდომებზე სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების დავის შედეგად ფერხდება და ჭიანურდება ერის ინტერესების თვალსაზრისით სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის საქმე, რითაც ერის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ირონიულ ღიმილს ვიწვევთ.

და, ბოლოს, კიდევ ერთი. სამწუხაროდ, ცეცხლის ხაზზე ჩვენი რესპუბლიკის ერთგვარ წარუმატებლობას თან ახლავს კიდევ უფრო მეტი წარუმატებლობა იდეოლოგიურ ბრძოლაში.

გვებადება კითხვა, როგორ ხდება, რომ რესპუბლიკა, რომელიც მდიდარია იდეოლოგიური დარგის მუშაკებით, უაღრესად ნიჭიერ ჟურნალისტთა კადრებით, ხშირად უმწეობას და უსუსურობას იჩენს ინფორმაციულ ბრძოლაში?

შეიძლება ეს აიხსნას ძირითადად იმით, რომ ბევრი ჩვენი ჟურნალისტი, ბევრი ჩვენი გაზეთი (მარტო თბილისში გამოდის 140-ზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების გაზეთი. მსოფლიოში არ არსებობს ერთმილიონიანი მეორე ასეთი ქალაქი, სადაც ამდენი გაზეთი გამოდიოდეს და ამდენი პარტია იყოს, რამდენიც საქართველოშია) საოცრად პასიურობს მოწინააღმდეგის ინფორმაციის საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კიდევ მეტი, გაზეთების ერთი ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ მათი ყოველი ნომერი, ყოველი მათი სტრიქონი ხელყუმბარასავით გამანადგურებელი ძალით სკდებოდეს მტრის ბანაკში, თავისი მასალებით ქართველი ერის მტერთა პოზიციებს აძლიერებს, სწამლავს ფსიქოლოგიურ კლიმატს, ეწევა ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე ერთმანეთის გამომრიცხველი იდეების პროპაგანდას.

ზოგიერთი ჟურნალისტი საკმაოდ კარგადაა დაუფლებული ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელი მუშაკისაგან ინტერვიუს ჩამორთმევის დროს ადამიანებს შორის ურთიერთობის დამძაბავი სიტყვების გამოტყუების ხელოვნებას, რათა მიაღწიოს ამ ბინძური გზით ერთმანეთის წინააღმდეგ ადამიანების წასისიანებას, ხელმძღვანელობაში დაძაბულობის შეტანას.

სამწუხაროდ, ზოგიერთები ამგვარი ხერხებით ხშირად შთამბეჭდავ შედეგებს აღწევენ.

არ უნდა იყოს ძნელად შესამჩნევი, რომ საქართველო დღეს მოგვაგონებს დენთით სავსე კასრს, რომელიც მზადაა, ან თითქმის მზადაა ასაფეთქებლად. ამფეთქებელთა რიგები კი, სამწუხაროდ არ კლებულობს.

ამიტომ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან ისიც, რომ ჩვენ ერთი ხელით ბრძოლა გვიხდება აფხაზი ექსტრემისტების, მეორე ხელით კი ოსი ექსტრემისტების წინააღმდეგ. მთელი ჩვენი ენერგიის ცხრა მეათედი ამ ფრონტებს ხმარდება. მხოლოდ ერთი მეათედი თუ ხმარდება უფრო ძლიერ ფრონტს — მეხუთე კოლონის წინააღმდეგ ბრძოლას. ამიტომ მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება, ძლიერდება მათი იდეოლოგიური არსენალიც. მრავლდებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მზად არიან საქართველო საფლავში ჩაუშვან და საფუძვლიანადაც ჩაფლან.

ყველას თავისი სათქმელი აქვს

ასეთ ვითარებაში განა ერთი წუთით დასაშვებია, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყნის — რუსეთის მისამართით მუქარა, ან კიდევ ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტაზე ლაპარაკი, როცა მასთან მილიონობით სასიცოცხლო ძაფით ვართ დაკავშირებული? ან კიდევ საქართველოში განლაგებული მისი სამხედრო ნაწილებისადმი მუქარა? ცხადია, არა, ათასჯერ არა!

დღეს საქართველოს წინაშე მდგომი ამოცანების ჯაჭვში მთავარი რგოლია ერთიანი ფრონტის შექმნა, რესპუბლიკის ყველა ჯანსაღი ძალის ერთიან და განუყოფელ ძალად შეერთება, ადამიანების მიერ შრომის ფრონტზე სულიერ და ფიზიკურ თვისებათა მაქსიმალური დაძაბვა, ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლების ორგანოებისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერა, უთანხმოებათა დავიწყება, თუნდაც დროებით.

საქართველო, რომელმაც შეძლო მთელი მსოფლიოს თანაგრძნობის, ყურადღებისა და ზნეობრივი მხარდაჭერის მოპოვება, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიაღწევს საწადელს — დაძლევს უმძიმეს კრიზისულ მდგომარეობას.

მინდა ეს ჩემი წერილი დავამთავრო იმ სიტყვებით, რითაც ნოე ჟორდანიამ დაამთავრა 1926 წელს დაწერილი ერთ-ერთი თავისი წერილი:

„მაშ იმედი, კიდევ იმედი, მეტი იმედი!"

• • •

სრულებითაც არ ვცდილობთ, აღნიშნულ საკითხებზე ჩვენი მოსაზრებები ვინმეს თავს მოვახვიოთ. მით უმეტეს, დღეს საქართველოში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ძალიან ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც დაუმსახურებლად მიეცა პოლიტიკური მოღვაწის სახელი, უძნელდება სხვისი აზრის გაზიარება, თუნდაც იგი აბსოლუტურად სწორი იყოს და ერის ინტერესებს გამოხატავდეს. ასეთი ტიპის ადამიანები სხვისი აზრის გაზიარებას საკუთარი ღირსების შელახვად მიიჩნევენ და ამჯობინებენ თუნდაც ორიგინალობის ინტერესებისათვის სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავონ.

ჩვენ სულაც არა ვართ წინააღმდეგი ამა თუ იმ საკითხზე განსხვავებული აზრის არსებობისა, პირიქით, ეს ხშირად სასარგებლოცაა, მაგრამ ყოველი ნაბიჯი, ყოველი ჩვენი მტკიცება უნდა ემსახურებოდეს ეროვნულ საქმეს. ამიტომ დიდად კმაყოფილი ვიქნებოდით, თუ წერილში დასმულ საკითხებზე თავიანთ არგუმენტირებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ჩვენი იურისტები, ეკონომისტები, ისტორიკოსები და სხვადასხვა პარტიის ლიდერები, რომელთა შორის მრავლად არიან ღირსეული პოლიტიკური მოღვაწენი. ჩვენში ოდნავადაც არ გამოიწვევს გამაღიზიანებელ რეაქციას კოლეგების მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებები. ჩვენთვის მთავარია, დაყენებული საკითხები შუქდებოდეს ობიექტურად, სუბიექტური დანაშრევების გარეშე, მეცნიერული კეთილსინდისიერებით, ხელს უწყობდეს ქართველი ერის წინსვლასა და განვითარებას.

საგამოფენო დარბაზში

ფერთა სიმფონია



სილამაზისა და ფერების აღქმის, გრძნობებისა და განწყობილების გადმოცემის ღვთისაგან ბოძებული ნიჭი გამობრწყინდა გულნარა მინდიაშვილის ნამუშევრებში, რომლებიც იხილა ქალაქის საზოგადოებრიობამ 11 თებერვალს ქარვასლის საგამოფენო დარბაზში. პროფესიით ქიმიკოსის, თვითნასწავლი მხატვრის პირველ პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილია 95 ტილო, რომელიც სამ წელიწადში შეიქმნა. თავისი მდიდარი ფანტაზიის წყალობით ავტორი თავისუფლად გადმოსცემს თავის განცდებს, ფიქრებსა და გრძნობებს და ამაღელვებლად მოგვითხრობს მშობლიურ საქართველოზე, მის დღევანდელობაზე. „სისხლის წვიმა“ — ასე ჰქვია სურათს, რომელიც ავტორმა შარშანდელი დეკემბრის დღეებს უძღვნა და შთამბეჭდავად მოგვითხრობს ჩვენს ქალაქში დატრიალებულ ტრაგედიაზე.

1990 წელს ქალბატონ გულნარას რამდენიმეჯერ ფერთა ხილვა ჰქონდა, რამაც მოსვენება დაუკარგა და ყოველივე ამის ტილოზე გადატანის მოთხოვნილება გაუჩინა. — დღეს უკვე არ შემიძლია არ ვხატო, — ამბობს მხატვარი, — რადგან ამის გარეშე სიცარიელისა და უკმარისობის გრძნობა მეუფლება.

მისი ტილოები — „გზა საყდრისაკენ“, „თეთრონი“, „კონტრასტი“, „სამოთხის ბაღი“, „მლოცველი სანთელი“ და მრავალი სხვა განსაკუთრებული მანერითაა შესრულებული.

ეწვიეთ ქარვასლის საგამოფენო დარბაზს და თავად დარწმუნდებით ქალბატონ გულნარას შემოქმედების თავისთავადობაში.

ნანა გელაშვილი.

სურათებზე: თვითნასწავლი მხატვრის გულნარა მინდიაშვილის ნამუშევრები.

გიორგი შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კრიმინალური ქრონიკა

ხონში სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე ნახეს დაჭრილი იგორ ფილატოვი, რომელიც მოათავსეს ჰოსპიტალში. ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად პოლიციამ დააკავა სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსის მოადგილე ალექსანდრე უშაკოვი, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული.

ოზურგეთის სოფელ ცხემლისხიდთან ავტომანქანას, რომელსაც მართავდა მფლობელი ქ. ინწკირველი, თავს დაესხა 5 შეიარაღებული ყაჩაღი, ინწკირველი ავტომანქანის დაძვრისთანავე ადგილზე მოკლეს, ხოლო მისი მგზავრი საავადმყოფოში მოხვდა.

„იბერია“.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

შიო მღვიმელს მიეძღვნა

საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა შიო მღვიმელის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა დავით მჭედლურმა.

საღამოს უძღვებოდა საბავშვო ლიტერატურის სექციის თავმჯდომარე მწერალი ქეთევან პილაშვილი.

შიო მღვიმელის შემოქმედებაზე ისაუბრეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ, პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა, მწერალმა დოდო ვადაჭკორიამ, ხოლო დიდი მწერლისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს გიორგი წერეთელმა, ლიდა სტვილიამ და გივი ჭიჭინაძემ. მოსწავლეებმა წაიკითხეს შიო მღვიმელის ლექსები. აქვე გამოაცხადეს შიო მღვიმელის პრემიის ახალი ლაურეატები, პოეტები: ცირა ქიტიაშვილი და გივი ჭიჭინაძე.

ღონისძიებაში მონაწილეობდა ანსამბლი „კამერატა“.

საღამოზე მოწვეული იყო შიო მღვიმელის ქალიშვილი ქეთევან ქუჩუკაშვილი.

იზა ჯაჭვაძე.

გიწვევთ „შვიდი მნათობი“

— პირველი რესპუბლიკური ფესტივალი

საქართველოსათვის ამ უმძიმეს პერიოდში მაინც გამოინახა საშუალება და მონდომება, რომ გამართულიყო ასეთი სახის ფესტივალი. საუბარია ნორჩ-კომპოზიტორთა და მუსიკოს შემსრულებელთა პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე „შვიდი მნათობი“, რომელიც მოაწყვეს ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ „მთაწმინდამ“, სიმფონიური მუსიკის ახალგაზრდულმა ცენტრმა და საქტელერადიომ. ამ დათვალიერების მიზანია წარმოაჩინოს და საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოაქციოს ის ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც სწორედ ახლა ესაჭიროებათ განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება. ფესტივალის ოფიციალური სპონსორები არიან კორპორაცია „ბანი და კომპანია“, ასოციაციები „ერქვანი“ და „საქართველო“.

თუ გსურთ გაიცნოთ ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსები — ჩვენი კულტურის ხვალინდელი დღე, ეწვიეთ თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრს, სადაც 20 თებერვალს, სიმფონიური მუსიკის დარბაზში გაიმართება ფესტივალის „შვიდი მნათობის“ დასკვნითი კონცერტი და მონაწილეთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია.

ჩვენს გასაჭირზე

არ არის ელექტროენერგია, წყალი, პური...

ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუარესდა გორსა და მის რაიონში ელექტროენერგიის მოწოდება, რამაც შეაფერხა რესპუბლიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების, მათ შორის — გორის წისქვილკომბინატის მუშაობა, რომელიც ფქვილითა და კომბინირებული საკვებით ამარაგებს რესპუბლიკის როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მთელ რიგ რაიონებს. არის საშიშროება თბომეურნეობის მწყობრიდან გამოსვლისა, ვინაიდან საგრძნობი ყინვებია გორსა და მის რაიონში. თვეების მანძილზე რაიონს არ მიეწოდება ელექტროენერგია, არ არის დიზელის საწვავი. ყველაფერი ეს აფერხებს საგაზაფხულო სამუშაოებს.

ქალაქის ზოგიერთი მიკრორაიონის მცხოვრებლები წყალს ქალაქის ცენტრიდან ეზიდებიან. ხალხმრავალი რიგებია პურზე. ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევებში პურის ცხობის ციკლი ირღვევა, რაც იწვევს პურის ხარისხის გაუარესებას. ხალხი შეშფოთებულია ანტისანიტარიით, უპატრონო ძაღლებისა და მღრღნელების მომრავლებით. გორში შექმნილი სანიტარიული მდგომარეობა დათბობის შემთხვევაში გამოიწვევს მრავალ ინფექციურ დაავადებას. საჭიროა, შესაბამისმა სამსახურებმა დროულად მიიღონ ზომები ვითარების გამოსასწორებლად.

უკანასკნელი იმედიც შეირყა

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეორე და მესამე პარტიების შემდეგ უნგრელმა დიდოსტატმა ჟუჟა პოლგარმა აქტივს კიდევ 1,5 ქულა შემატა და უკვე სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა — 2,5:0,5. მეორე პარტია პოლგარმა მოიგო, ხოლო მესამე ყაიმით დასრულდა.

ჩვენი უკანასკნელი იმედის — ნანა იოსელიანის ამოცანას ისიც ართულებს, რომ შეხვედრის დისტანცია საკმაოდ მოკლეა — რეგლამენტით მეტოქეებმა მხოლოდ 8 პარტია უნდა გამართონ.

იმედი ვიქონიოთ, რომ დასვენების დღე ნანას ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს და ვითარება მონტე-კარლოში ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვლება.

ლიდერთა სამეულები

თბილისში გრძელდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატები ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. სადღეისოდ ლიდერთა შორის იმყოფებიან: ქალთა შორის — „შევარდენი“, აგრარული უნივერსიტეტი და გორი; ვაჟთა შორის — სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი და ფიზკულტურის ინსტიტუტი.

ევროპის სტადიონებზე

გთავაზობთ ფეხბურთში 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების შედეგებს, რომლებიც, ტრადიციისამებრ, განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საკვალიფიკაციო ჯგუფებში.

I ჯგუფი. შოტლანდია-მალტა — 3:0. გოლები: მაკოისტი (2) და ნევინი.

II ჯგუფი, ინგლისი — სან-მარინო — 6:0 პლატი (4), პალმერი და ფერდინანდი.

III ჯგუფი. ალბანეთი-ჩრდილოეთ ირლანდია — 1:2.

V ჯგუფი. საბერძნეთი-ლუქსემბურგი — 2:0. დიმიტრიადისი (პენალტით) და მიტროპულოსი.

VI ჯგუფი. ისრაელი-საფრანგეთი — 0:4. კანტონა, ბლანკი (2) და როში.

ამავე დღეს ირლანდიის ნაკრებმა ამხანაგურ შეხვედრაში ანგარიშით 2:1 დაამარცხა უელსის გუნდი.

ჩოგანი

საქმე, რომელსაც ვირჩევთ

საქართველოს საინფორმაციო სააგენტო გვაცნობს რესპუბლიკაში ებრაელთა მსოფლიო სააგენტოს „სოხნუტის“ ახალ წარმომადგენელს ბატონ იაკობ ეფრემაშვილს.

ბიოგრაფიული დოსიედან: დაიბადა სოხუმში, სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მუშაობდა ლენინგრადში. შემდეგ მშობლიური ქალაქის საქალაქო საბჭოში. 20 წლის წინათ ოჯახითურთ წავიდა ისრაელში. დაამთავრა ულპანი, ერთი წელიწადი უმუშევარი იყო. ამჟამად ორი ფაბრიკის გენერალური დირექტორია. ჰყავს ცოლი და ოთხი შვილი.

საქინფორმის კორესპონდენტები იაკობ ეფრემაშვილს გაეცნენ თავის ოფისში ტაბიძის ქუჩაზე, სადაც იგი ეს-ეს არის დაბრუნდა აეროპორტიდან: ავიაკომპანია „ორბის“ საჰაერო ლაინერმა ისტორიულ სამშობლოში წაიყვანა რეპატრიანტთა მორიგი პარტია — 60 კაცი.

— ჩვენი წარმომადგენლობითი ინტერესების სფერო ფართო და მრავალფეროვანია. — ამბობს ბატონი იაკობი. — ეს არის იმათი დახმარებაც, ვინც მოისურვებს რეპატრირებას ისრაელში. საჭირო ახსნა-განმარტებებით დაწყებული და უფასო ავიაბილეთებით დამთავრებული. ებრაელი ხალხის ისტორიის, კულტურისა და ენის პროპაგანდაც. ებრაულ დიასპორას საქართველოში აქვს მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობა ქართველ ხალხთან. „სოხნუტი“ ცდილობს გააფართოოს და განამტკიცოს ორი ქვეყნის სამეცნიერო, კულტურული და სავაჭრო კონტაქტები. დარწმუნებული ვარ, მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის შიმონ პერესის ვიზიტი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მოსალოდნელი გამგზავრება ისრაელში, უეჭველია, ხელს შეუწყობს ჩვენს სახელმწიფოებს შორის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. აპრილის შუა რიცხვებში საქართველოში ჩამოსვლას აპირებს ებრაელთა მსოფლიო სააგენტოს „სოხნუტის“ პრეზიდენტი სიმხა დინიცი.

— ბატონო იაკობ, თქვენ სოხუმის მკვიდრი ბრძანდებით. წეღან თქვით, რაოდენ ძვირფასია თქვენთვის საქართველო, მისი მშვიდობა და სიმშვიდე. როგორ ეკიდებით იმას, რაც ამჟამად აფხაზეთში ხდება?

— თქვენს სიტყვებს შემიძლია ისიც დავუმატო, რომ მე გოლანის მაღლობებზე ომის მონაწილე გახლავართ. ორი ჩემი ვაჟი მსახურობდა ისრაელის სადესანტო ნაწილებში. მერწმუნეთ, ვიცი, რა არის ომი. მაგრამ ვერ გამიგია, რა ხდება ჩემს მშობლიურ ქალაქში. მე დავიბადე და ვცხოვრობდი მშვენიერ ქალაქ სოხუმში, აფხაზეთი იყო არის და იქნება საქართველოს ნაწილი, ქართველები და აფხაზები სისხლით ნათესავები არიან. და ვერავითარი პოლიტიკოსები ვერ შეძლებენ, საბოლოო ანგარიშით, ამ კავშირის გაწყვეტას.

— თქვენი ინტერესების არეალში ბიზნესის პერსპექტივებიც არის, არა?

— ისეთ მშვენიერ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ძალზე ფართოა ისრაელის ბიზნესის ინტერესები. მაგრამ მისი განვითარებისათვის, ჯერ ერთი, საჭიროა მშვიდობა და სიმშვიდე, სტაბილურობა, და, მეორე, უნდა შევიგნოთ ჭეშმარიტება, ბიზნესი არ შეიძლება ცალმხრივი იყოს. ბიზნესით დაინტერესებული უნდა იყოს ორი მხარე. მე ხელს შევუწყობ საქართველო-ისრაელის მარკეტინგის სწორედ ასეთ განვითარებას.

საუბრის დასასრულს, იაკობ ეფრემაშვილმა მიგვიწვია ებრაელთა ეროვნულ დღესასწაულზე პურიმზე, რომელიც უნდა გაიმართოს 7 მარტს, რუსთაველის თეატრში. „სოხნუტის“ წარმომადგენლის მუშაობის ტემპი მატულობს.

ა. ვიგნანსკი,
ი. გოლდმანი,
საქინფორმის კორ.

სურათზე: საქართველოში ებრაელთა მსოფლიო სააგენტოს „სოხნუტის“ წარმომადგენელი იაკობ ეფრემაშვილი.

იოსებ დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

შორი გზიდან კანფეტს ველი!..

საქართველოს დედაქალაქის სავაჭრო ქსელში კვლავ მიიღეს ტკბილეული, რომლის გემო ზოგიერთ ჩვენგანს, ალბათ, დაავიწყდა კიდეც. როგორც საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერის“ გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ ცაგარეიშვილმა თქვა, შოკოლადის ფილების, კანფეტების შენარჩევის „ასორტის“, ვაფლის, ნამცხვრის გამოშვება, შესაძლოა, გაიზარდოს მას შემდეგ, რაც აფრიკის კონტინენტის ქვეყნის სპილოს ძვლის ნაპირიდან მიიღებენ ნედლეულს.

შაბათს, 20 თებერვალს 11 საათზე თბილისში პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა აქტივის თათბირი.

დღის წესრიგშია: საკითხი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის 1992 წელსა და 1993 წლის იანვარში გაწეული მუშაობისა და მომავალი ამოცანების შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ქალაქების მერები, რაიონებისა და ქალაქების გამგებლები; პოლიციის უფროსები, პროკურორები, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსები, აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრები და პროკურორები, საქართველოს მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ახმეტის რაიონული განყოფილების

განცხადება

1993 წლის 15 მარტს 12 საათზე ქ. ახმეტის კულტურის სახლში გაიმართება აუქციონი.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება:

ქ. ახმეტის ბენზინის გასამართი ავტომატური სადგური კონტეინერით, საწვავის ტევადობით 146 მ^3, 8 რეზერვუარით, სამი ბენზინის გამწყობი და ორი ზეთის გამწყობი სვეტებით, საოპერატორო ოთახით 20 მ^2. საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 1605813 მანეთს.

ბენზინის გასამართი სადგურის გაყიდვის შემთხვევაში მის მიერ დაკავებული მიწის ფართობით — 0,65 ჰა — სარგებლობა მყიდველის მიერ განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განცხადების მიღება წყდება 24 საათით ადრე აუქციონის დაწყებამდე.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ახმეტის რაიონული განყოფილება ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის 49. ტელ.: 2-19-88.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა

გაცნობებთ

რომ მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის მიზნით გამოშვებულია შემნახველი ბანკის **1000, 5000 და 10000 მანეთის ღირებულების სერთიფიკატები,** რომლებიც თავისუფლად იყიდება და მიიღება გასანაღდებლად შემნახველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

სერთიფიკატები გამიზნულია ფულადი დანაზოგების, **10 წლის ვადით** შენახვისათვის. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში თქვენი თანხა **ხუთმაგდება,** ე.ი. სერთიფიკატზე გაიცემა შემოსავალი წლიური გაანგარიშებიდან საშუალოდ **40%**-ის ოდენობით.

შემნახველი ბანკის სერთიფიკატი - ფასიანი ქაღალდია წარმომდგენზე, რომელიც შესანახად შეგიძლიათ მიაბაროთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი გაძლევთ თქვენი ფულადი ოპერაციების ანონიმურობის გარანტიას.

დღეისათვის ხელზე არსებული შემნახველი ბანკის მიერ გაცემული ძველი ნიმუშის სერთიფიკატები უნდა გადაიცვალოს ახალ სერთიფიკატებზე 1993 წლის 15 მარტამდე.

ბანკის გამგეობა შეგახსენებთ, რომ 1991 წლის 1 მარტამდე გაცემულ სერთიფიკატებზე დარიცხულია **კომპენსაცია 40%** და გაკეთებულია **100%-იანი ინდექსაცია,** როგორც ძირითად, ასევე საკომპენსაციო თანხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი მომავალშიც იზრუნებს მაქსიმალურად დაიცვას თქვენი ანაბრები ინფლაციისაგან.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვის ოპერაციებს რუსეთიდან საქართველოში უმოკლეს ვადებში, თქვენთვის ხელსაყრელი პირობებით. **ჩვენი საკონტაქტო ტელეფონებია:**

ქ. თბილისში: 86-09-29; 86-27-74 (11-დან 14 სთ-მდე),

ქ. მოსკოვში: (095) 378-79-78.

ფირმა „ლეჩხუმი“ გთავაზობთ

თუ გსურთ თვიური შემოსავალი 100.000 მანეთი გქონდეთ შეიძინეთ ფირმა „ლეჩხუმის“ დანადგარი თურქული ქაბაბისა და მწვადის დასამზადებლად.

ჩვენ შემდგომ საგარანტიო მომსახურებასაც გთავაზობთ.

ტელ.: 89-02-98.

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 18 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების პირველ ოფიციალურ ცხრილში ჩვენი მიზეზით დაშვებულია უზუსტობანი. კერძოდ: სერია 05643 ნომერი 031, მოგება 75000 მანეთი, უნდა იკითხებოდეს **სერია 05648 ნომერი 081, მოგება 75000 მანეთი;** სერია 14396 ნომერი 1-40, მოგება 50000 მანეთი, უნდა იკითხებოდეს **სერია 14896 ნომერი 1-40, მოგება 50000 მანეთი;** სერია 19153 ნომერი 037, მოგება 100000 მანეთი, უნდა იკითხებოდეს **სერია 19158 ნომერი 087, მოგება 100000 მანეთი;** სერია 19537 ნომერი 020, მოგება 250000 მანეთი, უნდა იკითხებოდეს **სერია 19587 ნომერი 020, მოგება 250000 მანეთი;** სერია 22320 ნომერი 023, მოგება 250000 მანეთი, უნდა იკითხებოდეს **სერია 22820 ნომერი 028, მოგება 250000 მანეთი.**

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გოლიაძე.

ვიპოვოთ სიმართლე

დამნაშავეა დრო?

ზაურ მაკარაძე

ალბათ, ასე შეიძლება შეფასდეს ის ერთწლიანი დავა, რომელიც სააქციო საზოგადოება „მთაწმინდა ლადასა“ და მის კლიენტებს შორის მიმდინარეობს... თუმცა, ეტყობა, ახლა ამ დავის დასასრული დაიწყო.

რედაქციაში შემოვიდა წერილი-განცხადება, რომლის შინაარსმა ბევრი მსგავსი წერილი და ტელეფონის ზარი გაგვახსენა, „1972 წლიდან ვიყავი მსუბუქი ავტომანქანის რიგში, — გვწერდა თბილისელი მოქალაქე არსენ მათიაშვილი, — ჩემი რიგი რამდენჯერმე გადაიდო, შემდეგ კი ავტომანქანების განაწილება კულტურის სამინისტროში საერთოდ შეწყდა. 1991 წლის მარტში მივმართე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. იქ შეისწავლეს ჩემი თხოვნა, და დარწმუნდნენ რა განცხადების საფუძვლიანობასა და სამართლიანობაში, აღმითქვეს დახმარება. 1991 წლის დეკემბერში სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „საქლადას“ (ახლა სააქციო საზოგადოება „მთაწმინდა ლადა“ — ზ. მ.) ავტომაღაზიამ მიიღო ავტომანქანები. უკვე 19 დეკემბერს, ვაჭრობის სამინისტროს განკარგულებით „საქლადას“ დირექციამ გააფორმა შეკვეთა №2101, რომლის საფუძველზე მომეცა მიმართვა ბანკის რაიონის შემნახველი ბანკის განყოფილებაში წარსადგენად... 27 დეკემბერს „საქლადის“ სალაროში შევიტანე „ვაზ“-2106 მარკის „ჟიგულის“ ღირებულება, 16400 მანეთი, საანგარიშსწორებო ქვითრების სახით და მივიღე საშვი, აგრეთვე ბიუჯეტის სასარგებლოდ გადავიხადე სახელმწიფო თანხა 225 მანეთი“.

შემდეგ განცხადებაში დეტალურადაა აღწერილი, თუ როგორ გაუცრუვდა განმცხადებელს იმედი, უმანქანოდ დარჩა, და ბოლოს მოითხოვს: „საქლადა“ (ამჟამად „მთაწმინდა-ლადა“) საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ვალდებულია გადმომცეს ჩემი კუთვნილი ავტომანქანა... ან მისი ღირებულება მანეთის დღევანდელი კურსის მიხედვით გადამიხადოს“.

ცნობისათვის: არსენ მათიაშვილი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკია, თავის დროზე საკმაოდ პრესტიჟული შრომის დიდების ორდენების კავალერი, 1952 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში ქართული ეროვნული ტანსაცმლის ოსტატ-გამომჭრელად. — ჩემს დამზადებულ ტანსაცმელში „დაიზარდნენ“ სუხიშვილისა და რამიშვილის ანსამბლის თაობები, — ამბობს ის, — 1972 წლიდან რიგში ვარ, მაგრამ მანქანის შეძენა მაინც ვერ მოვახერხე. ახლაც მიმტყუნა ბედმა...

თავის დროზე სამგორის რაიონის სასამართლოში ამ საქმეზე ორი პროცესი შედგა. პირველმა (სასამართლოს თავმჯდომარე ნებიერიძე), რომელიც შარშან, 20 მაისს გაიმართა, სცნო, რომ სარჩელი, უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მიზეზების გამო: დადგენილია, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტისთვის ავტომაღაზიაში ფიზიკურად იყო მანქანები, მაგრამ მათი მიყიდვა-გაცემა არ მომხდარა არც იმ დღის, არც შემდეგ დღეებში; მომხმარებელს იმ დროიდან ეუბნებოდნენ უარს, სანამ არ მოხდა ავტომანქანების ღირებულების გაზრდა, ამრიგად, მოსარჩელის ბრალი არ მიუძღვის ხელშეკრულების დარღვევაში. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის 249-ე მუხლი კი ითვალისწინებს: თუ გამყიდველი დაარღვევს ხელშეკრულებას, მყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს გამყიდველს ნივთის მასზე გადაცემა და ამავე დროს, ვადის გადაცილებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. სასამართლომ, ისარგებლა რა სრის 197-ე მუხლით, დაადგინა: სარჩელი დაკმაყოფილდეს, მოპასუხე ორგანიზაციას, საქართველოს სააქციო საზოგადოება „მთაწმინდა ლადას“ („საქლადა“), დაევალოს, მოსარჩელესთან დადებული ხელშეკრულების შესრულება და მისთვის ავტომანქანა „ვაზ“-2106-ის გადაცემა განსხვავებული თანხის გადახდის გარეშე. საკასაციო ვადა 14 დღეა.

დაიწერა საკასაციო საჩივარიც...

თუმცა, სანამ მეორე სასამართლო პროცესზე მოგითხრობდით, მოვუსმინოთ სააქციო საზოგადოება „მთაწმინდა ლადას“ სავაჭრო ცენტრის (ავტომაღაზია) საქონელმცოდნეს თამარ ელიზბარაშვილს.

ქალბატონი თამარი დეტალურად და საკმაოდ დამაჯერებლად მიხსნის საქმის ვითარებას. ირკვევა, რომ მთელი რიგი მიზეზების გამო, ამ დროისათვის, რესპუბლიკას მსუბუქი ავტომანქანების ფონდი არ გააჩნია.

— სიმართლეში დასარწმუნებლად რამდენიმე კონკრეტული ციფრის ანალიზი მოგვიწევს, — მეუბნება ის, — 1991 წელს რესპუბლიკური ფონდი 2132 ავტომანქანა იყო. 1990 წლიდან გარდამავალმა ნაშთმა 626 ერთეული შეადგინა, ე. ი. 1991-ში 2.758 მანქანა უნდა განაწილებულიყო. ვაჭრობის სამინისტროსა და მთავრობის მიერ კი 5761 ავტომანქანა განაწილდა, ოღონდ ქაღალდზე. უკეთ რომ ჩავწვდეთ საქმის არსს (მიჩვენებს იმდროინდელი ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ჩოგოვაძის განკარგულებას), ასეთი ქაღალდით 5761 კაცი მოვიდა, რომელთაგან 3003 ავტომანქანით დარჩა.

ბუნებრივია, როგორც მკითხველს, ისე მეც აქ რამდენიმე კონკრეტული კითხვა დამებადა: თუ არ იყო ავტომანქანები, მაშინ რას ჰპირდებოდნენ მოქალაქეებს? რატომ ახდევინებდნენ ავტომანქანის ღირებულებას? გასცემდნენ საშვს?

— 1991 წლის ივნისის შემდეგ საფონდო მანქანები არ მიგვიღია, — აგრძელებს საუბარს ქალბატონი თამარი, — გვპირდებოდნენ, რომ შემოვიდოდა...

— შეკვეთა-ვალდებულება რომ გააფორმეთ?

— ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელი აყვანილია აღრიცხვაზე და ელოდება მანქანას. ზემო ინსტანციიდან წერილის შემოსვლა ნიშნავს რიგითობას, რიგში დადგომას. ბატონი მათიაშვილი რიგში 720-ე იყო, ამიტომ იმ ეტაპზე მანქანა მაინც არ შეხვდებოდა.

— საშვის გამოწერა რაღას ნიშნავს?

— საშვი ხელმოწერილი არ იყო, ამით მის მფლობელს მხოლოდ ბაზრის ტერიტორიაზე შესვლისა და მანქანების დათვალიერების უფლება ჰქონდა.

ავტომაღაზიისა და მეორე სასამართლო პროცესის დოკუმენტებში ხშირად არის ნახსენები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიზნობრივი ფონდი.

რა ფონდია ეს?

დადგენილია, რომ 1991 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ავტომაღაზიამ მიიღო 650 ავტომანქანა ძირითადად ამ ფონდისათვის — ტოლიატიდან საქონელი სწორედ მისი მისამართით გამოიგზავნა.

აი, ამონაწერი განწესიდან, რომელიც გამოგზავნილია საავტომობილო ქარხნიდან კომერციული დირექტორის მოადგილის შემსრულებლის ა. ა. შიშკოვის ხელმოწერით.

«**Задание № ОАППР-377 от 5.12.1991 г. на поставку автомибилей ВАЗ предприятиям, организациям, кооперативам, выполнившим договорные обязательства по линии коммерческой дирекции**».

რა ვალდებულებებზეა საუბარი? ამ ბარტერულ გაცვლაზე, რომელიც „ლითონმომარაგების“ ხაზით განხორციელებულა.

დეკემბრის მეორე ნახევარში მიღებული ავტომანქანები ამ გაცვლის „დასაქონლების“ შედეგია. მათი პატრონი იმდროინდელი მთავრობა იყო, რომლის ხელმძღვანელობამაც თავისი შეხედულებისამებრ გაანაწილა მთლიანად თუ ნაწილობრივ ეს რაოდენობა. რამდენად სამართლიანად, — ეს უკვე სხვა საკითხია, მაგრამ, „საქლადას“ როლი ამ შემთხვევაში, შემსრულებლის ფუნქციით რომ შემოიფარგლებოდა, ეს ფაქტია. მართალია, მომჩივანი ამის გამო, დიდ შეღავათს ვერ იგრძნობს, მაგრამ რეალური სიტუაცია ასეთი იყო.

— მაშ, რა ქნას იმედგაცრუებულმა კაცმა? კითხვითვე ვუპასუხებთ — მარტო ის იმედგაცრუებული იყო?

მერე არეული დრო იყო, საშინელი შფოთიანობა. — მოდიოდნენ ავტომატებით — ალკოჰოლური, თუ ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფნი, ძალადობდნენ, ითხოვდნენ მანქანებს, იმუქრებოდნენ.. მიჰქონდათ.

მეორე სასამართლომ (თავმჯდომარე ქ. ყურაშვილი) განიხილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი, გაითვალისწინა ზემოჩამოთვლილი მომენტები, ისარგებლა „მოსახლეობისათვის მსუბუქი ავტომანქანების მიყიდვის წესებით“ და დაადგინა: წინა გადაწყვეტილება, როგორც არასწორი, უნდა გაუქმდეს. მოსარჩელე ა. მათიაშვილს შეუძლია მიიღოს მანქანა რიგითობის საფუძველზე ფასთა სხვაობის გადახდის შემდეგ.

— ჩვენ წინასწარ ვახდევინებდით მომხმარებელს ავტომანქანის ღირებულებას. ეს არ არის „მოსახლეობისათვის მსუბუქი ავტომანქანებისა და მოტოციკლების მიყიდვის წესების“ დარღვევა, — ამბობს თამარ ელიზბარაშვილი.

ხელშეკრულების შესრულების ვადა არ უნდა გადაცილდეს ერთ წელს მისი გაფორმებიდან და 60 დღეს ავტომანქანის (მოტოციკლის) ღირებულების გადახდიდან, — აღნიშნულია ზემოხსენებულ წესებში. „ვაზ“-21063-ის ღირებულება კი უკვე 2 იანვარს 108 ათასი მანეთი იყო. — ჩვენ ვთხოვდით გაეტანათ ფული სალაროდან ან ფასთა სხვაობა, გადაეხადათ, ბევრმა გააკეთა ეს, ბევრმა — არა... თუმცა, ისიც სათქმელია, რომ 1992 წელს ავტომაღაზიამ რაღაც 500 ავტომანქანა მიიღო. ესეც მინისტრთა კაბინეტის ფონდი იყო...

რა შეიძლება ითქვას ამ „ამბების“ შესახებ“ — ალბათ, ის, რომ ვაჭრობის სამინისტროს უფლება არ ჰქონდა არარსებული მანქანების განაწილებისა, „საქლადას“ კი ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და მოსალოდნელი ინფლაციის გათვალისწინებით, არ უნდა გაეფორმებინა შეკვეთები. მაგრამ, ალბათ, გახსოვთ, რომ მაშინ სამინისტროს, ცოტაა ვთქვათ — არაპროფესიონალები, — გაუნათლებელი პირები ხელმძღვანელობდნენ და მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. მათ დახლართეს დროით ისედაც არეული საქმე.

თუმცა, ბოლომდე ობიექტურნი რომ ვიყოთ, ალბათ, ერთი მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ.

1992 წლის იანვარში „ავტოვაზის“ მიერ ავტომანქანებზე ფასების მომატება საკმაოდ მოულოდნელი იყო, — ჩვენთვის, მომხმარებლებისათვის, ველოდით, რასაკვირველია, მაგრამ, თითქოს არც გვჯეროდა, რომ ასე მოხდებოდა. ასეთია დაჯერებულობის ინერცია, მაგრამ ეს ჩვენ, მომხმარებელს გვეხება და არა პროფესიონალ ვაჭრებს, მით უფრო, მთავრობას, რომელიც სიტუაციას უნდა ფლობდეს, რაღაცას მაინც უნდა აკეთებდეს თავისი მოქალაქეების სოციალური დაცვისათვის.

და აქ წინა პლანზე გამოდის დრო, დრო გარდატეხის, სიღრმისეული ძვრების; იცვლება წყობილება, იცვლება მთავრობები, და ჩვენი „პატარა საქმეები“, როგორც ყოველთვის, ნაფოტებივით მიჰყვება ისტორიული კატაკლიზმების მდინარებს.

ბევრი რამ შეცვალა დრომ. ავტომაღაზია, მაგალითად, სარგებლობდა მომხმარებლის მიერ საქონლის ღირებულების წინასწარ გადახდის პრაქტიკით, მაგრამ სწორედ დრომ შეიტანა ბევრ რამეში კორექტივი და დაგვარწმუნა, რომ საბაზრო ეკონომიკა და ინფლაცია ის ქორებია, რომლებიც ჩვენებურად, ძველებურად აღარ გვაჭიკჭიკებენ დაუფრთიანებელ ჩიტებს. ახლა გაცილებით მეტი სიბრძნე და მეტი წინდახედულებაა საჭირო.

დღეს „საქლადა“ სააქციო საზოგადოებაა. — ფონდომანია მოისპო. ავტომაღაზია ამიერიდან ყველას თავისუფლად მოემსახურება. მეუბნებიან, ვის მივმართოთო? — მე მომმართეთ, გადაიხადეთ გადასახდელი და წაიყვანეთ მანქანა, — ამბობს „მთაწმინდა ლადას“ გენერალური დირექტორი ბატონი ვაჟა კობერიძე.

— ვისაც უკვე გადახდილი აქვს?

— ფასთა სხვაობაც უნდა გადაიხადოს...

სხვაობა კი ძალიან დიდია. ამიტომ დაინტერესებულ მკითხველს ჩვენი წერილის დასასრულს მივაწვდით ავტომანქანა „ჟიგულის“ ზოგიერთი მარკის დღევანდელ ფასებს (7.12.92): **„ვაზ“-1111** — 890 ათასი მანეთი, **„ვაზ“-2104** — 1690 ათასი, **„ვაზ“-21043** — 1800 ათასი, **„ვაზ“-21051** — 1590 ათასი, **„ვაზ“-2106** — 1690 ათასი, **„ვაზ“-21063** — 1550 ათასი, **„ვაზ“-2107** — 1990 ათასი, **„ვაზ“-21074** — 2390 ათასი, **„ვაზ“-21083** — 1990 ათასი, **„ვაზ“-2109** — 2590 ათასი, **„ვაზ“-21093** — 2990 ათასი, **„ვაზ“-21099** — 3590 ათასი...

ეს ფასები, როგორც „ავტოვაზიდან“ ახლახან დაბრუნებულმა სპეციალისტებმა თქვეს, უკვე მოძველებულია, ახლა ახალი ფასები დაადგინეს, ვინაიდან, ოფიციალური შეტყობინება „მთაწმინდა-ლადას“ ჯერ-ჯერობით არ მიუღია.

მთავარი რედაქტორი **გურამ გოგიაშვილი.**

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА